# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 თებერვალი 2008 №031 (3255) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფული ვერ დათვალეს თუ რაღაც ვერ გათვალეს?!

## კლუბმა ფეხბურთელი იყიდა, გაშვებულის კომპენსაციას ელის, უცხოური შეკრება გაიარა და...

# ოფიციალური მიზეზი: ფული გაუთავდა!

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი"

2004

FOOTBALL CLUB „ZESTAFONI"

# ზესტაფონმა საქართველოს ჩემპიონატში და თასზე თამაში იუარა!



„ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი"

**Football club "Zestafoni"**

ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. 2, 2000, საქართველო, ფაქსი: (995-32) 4-00-24, (995-32) 92-31-48, ტელ: (995-32) 4-00-24, (995-32) 99930
2, Staroselsky st., Zestafoni, 2000, Georgia, FAX: (995-32) 4-00-24, (995-32) 92-31-48 Tel.: (995-32) 4-00-24, (995-32) 999303

12.02.08

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის
პრეზიდენტს ბატონ დიმიტრი რამიშვილს

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ ს/კ „ზესტაფონი" უსახსრობის გამო უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატისა და დ. ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშებაში.

პატივისცემით,

ვ. გველესიანი

ვიცე-პრეზიდენტი

# რატომ?!

## სამწუხარო ფაქტის უცნაური ფონი

**ძალიან** ცუდი ამბავი: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა და ფინანსურად ერთ-ერთმა ყველაზე მძლავრმა კლუბმა „ზესტაფონმა" გუშინ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა! მიზეზი კი უფულობაა, „ზესტაფონს" კლუბის შესანახი თანხა გამოელია და სწორედ ამიტომ, ჩემპიონატი და თასი შუა გზაზე მიატოვა.

ზესტაფონელებმა შესაბამისი შინაარსის წერილი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას უკვე გაუგზავნეს, ხოლო ჩვენ ეს ამბავი კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გუშინვე დაგვიდასტურა.

ქართული ფეხბურთისთვის უარესი რაღა უნდა მოხდეს...

ისე კი, ამ საქმის უკან, ალბათ, რაღაც სხვა იმალება. როგორ დავიჯეროთ, რომ გუნდი რომელიც თურქეთში ორკვირიანი შეკრებიდან ორიოდ დღის წინ დაბრუნდა, რომელმაც ახალი ფეხბურთელი, ნიკა გელაშვილი დაიმატა და, როგორც ამბობენ, მის სანაცვლოდ არც თუ ცოტა ფული გადაიხადა, ბექა გოცირიძის მიყიდვაზე კი ნალჩიკის „სპარტაკს" სულაც უარი უთხრა და როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს ფეხბურთში ყველაზე მეტად თუ არა, სოლიდურად წელგამართული იყო, დღეს უფულობის გამო ჩემპიონატიდან გასვლის თაობაზე აცხადებს.

„ზესტაფონის" დაშლის მიზეზებზე საფეხბურთო კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ, ისმის ბევრივარაუდი, ამათ შორის კი ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბს შორის გამწვავებული ურთიერთობაც ხვდება ყურს.

სინამდვილე რა არის, ვერაფერს გეტყვით, ჩვენ ზუსტად მხოლოდ ამ ამბის ოფიციალური მხარე ვიცით და მადლობა პროფლიგას, რომელმაც „ზესტაფონის" წერილის ასლი მოგვაწოდა.

სხვათა შორის, პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, ძალიან სამწუხარო ფაქტი კი მოხდა, მაგრამ იმედი მაქვს, საქმე გამოსწორდება და „ზესტაფონი" ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობას გააგრძელებსო.

ვნახოთ, რა როგორ იქნება... სადღეისოდ საქმე, გავიმეოროთ, რომ ძალიან ცუდად არის და ღმერთმა ქნას, ისე მოგვარდეს, „ზესტაფონი" ქართულ ფეხბურთს ძველი ამბიციებით დაუბრუნდეს...

**კობა ინასარიძე**

# ზესტაფონელები ზესტაფონზე...

**სულ** სამწელიწადნახევარია, რაც საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" არსებობს და თავიდანვე იქცა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად. „ზესტაფონის" თამაშს სხვა ხიბლი ჰქონდა, მათ საშინაო მატჩებზე იშვიათად, 3 000 კაცზე ნაკლები მისულიყო, ახლა კი...

დაუჯერებელიც კია ის, რაც გუშინ მოხდა: იმერული კლუბის ხელმძღვანელობამ პროფლიგაში შეიტანა განცხადება, რომ ჩემპიონატში თამაშს წყვეტს.

მიზეზი?

აი, რას ამბობენ „ზესტაფონის" ფეხბურთელები, რომელთა ბედიც ჰაერში გამოეკიდა...

**ზურაბ იონანიძე**: „სიმართლე გითხრათ, საქმის კურსში არ ვარ. მე ის ვიცი, რომ დღეს უნდა შევკრებილიყავით და „ოლიმპთან" თასზე სათამაშოდ მოვმზადებულიყავით. რა მოხდა, არ ვიცი..."

**გიორგი ჭელიძე**: „მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბმა შეიტანა განცხადება პროფლიგაში. შინ დაბრუნდით და დაგირეკავთო, ასე გვითხრეს. არადა, 17 თებერვალს თამაში გველოდა. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა ასეთი..."

**გოგი ფიფია**: „დღეს დილით 12 საათზე თბილისიდან ავტობუსით უნდა წასულიყო გუნდი ზესტაფონში, მაგრამ მე ხვალ უნდა ჩავსულიყავი. ბიჭებმა დამირეკეს და მითხრეს, რაღაც პრობლემებია და ველარ წავედითო. მერე კი გავიგე, რომ ასეთი განცხადება შეუტანია კლუბს. კლუბიდან უთქვამთ ფეხბურთელებისთვის, დღეს ღამე ან ხვალ დილით დაგირეკავთ, გაგაგებინებთ ყველაფერსო..."

**ილია ნანობაშვილი**

# და ამ დროს: განუგრავა ოფიციალურად ბოლესლაველია



**გიორგი განუგრავას** შარშან ამ დროს დაუმთავრდა კონტრაქტი „ზესტაფონთან" და ორიოდ კვირის წინ გახდა ჩეხური „ბოლესლავას" ფეხბურთელი — 1+1-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

19 წლის ქართველის ტრანსფერი გუშინ დილით გააგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩეხეთში.

თითქოს ერთმანეთს გადაეჯაჭვაო: გუშინვე „ზესტაფონმა" საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

## უმაღლესლიგელთა კომენტარები ზესტაფონის გადაწყვეტილებაზე

**გურამ რუხაძე**, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი: „არ ვიცი, რის საფუძველზე შეიტანა ასეთი განცხადება პროფლიგაში „ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ. როცა გავეცნობი საქმის ვითარებას, კომენტარსაც მაშინ გავაკეთებ".

**ბუბა ტყავაძე**, „დინამოს" მმართველი დირექტორი: „თავისთავად ძალიან გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა. ფინანსურად ძლიერი რაც მეტი გუნდი იქნება საქართველოში, ეს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას წაადგება. მიუხედავად იმისა, რომ „ზესტაფონი" ჩვენი კონკურენტია, სამწუხაროა, რომ ამ კლუბმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მეტი კონკურენციის პირობებში ხომ უფრო ამაღლდება ქართული ფეხბურთის დონე. ისე, ძალიან მაინტერესებს, „ზესტაფონის" ამგვარი განცხადების რეალური საფუძველი რა არის?!"

**ზურაბ ფოცხვერია**, „ამერის" პრეზიდენტი: „ფაქტი ძალიან არასასიამოვნოა და ამავე დროს დამაფიქრებელიც. იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში უფრო მეტად გაირკვევა ვითარებაც და „ზესტაფონის" ხელმძღვანელთა პოზიციაც. ჩემი სურვილია, „ზესტაფონმა" მონაწილეობა გააგრძელოს საქართველოს ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც".

**ბადრი ქარქაშაძე**, „ოლიმპის" ხელმძღვანელი: „ვერ დავიჯერებ, რომ „ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ეს არარეალურად მიმაჩნია და თუ მართლაც ასეა, ძალიან ცუდია".

**ჯემალ ჭიპაშვილი**, „სიონის" გენერალური მენეჯერი: „ძალიან სავალალო ფაქტია. ჩათვალეთ, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი მოკვდა".

**ვახტანგ მაისურაძე**, „ბორჯომის" დირექტორი: „ფეხბურთელებისგან შევიტყვე ეს ამბავი და ძალიან მეწყინა. „ზესტაფონიც" თუ აღარ ითამაშებს ჩვენს ჩემპიონატში, აბა, ვინღა უნდა ითამაშოს?!"

**ბესიკ შეროზია**, „მგლების" მთავარი მწვრთნელი: „ზესტაფონი" ქართული ფეხბურთისთვის სოლიდური კლუბია და თუ ეს გუნდი ჩემპიონატში აღარ მიიღებს მონაწილეობას, კატასტროფა იქნება".

**ზურაბ ხორგუაშვილი**, „დილას" მთავარი მწვრთნელი: „კომენტარის გაკეთება ძნელია, როცა არ იცი, რატომ აღარ აპირებს კლუბი ჩემპიონატში მონაწილეობას. ალბათ, „ზესტაფონის" ხელმძღვანელობა იტყვის მიზეზს და კომენტარს ამის შემდეგ გავაკეთებ".

**დავით ეჯიბიშვილი**, „მერანის" მთავარი მწვრთნელი: „რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია. საქართველოში ისედაც თითზე დასათვლელია ფინანსურად წელგამართული კლუბები და მათ „ზესტაფონიც" თუ გამოაკლდა, ცუდი იქნება. საინტერესოა, რა არის ამ გადაწყვეტილების მიზეზი".

**ზაზა ზამთარაძე**, „ლოკომოტივის" მწვრთნელი: „ასეთი განცხადება თუ შეიტანეს პროფლიგაში, ესე იგი, ამის სერიოზული მიზეზიც აქვთ. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ „ზესტაფონი" აღარ იარსებებს".

**კობა თედიაშვილი**, „მესხეთის" მთავარი მწვრთნელი: „გაოგნებული ვარ და მიჭირს კომენტარის გაკეთება. საქართველოს ჩემპიონატის დონეზე „ზესტაფონი" მშვენიერი გუნდი იყო და საინტერესოა, რა მოხდა. რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება?!"

**ავთანდილ კუნჭულია**, „ბათუმის" მთავარი მწვრთნელი: „სამწუხარო ფაქტია. „ზესტაფონის" გამოკლება ქართულ ფეხბურთს დიდ დალს დაამჩნევს".

**კობა ჟორჟიკაშვილი**, „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი: „ქართული ფეხბურთისთვის დიდი დანაკლისი იქნება. ამ კლუბში ვმუშაობდი და ვიცი, რა პირობებიც ჰქონდათ ხელმძღვანელებს შექმნილი მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის. მაქსიმუმს აკეთებდნენ წინსვლისთვის. ახლაც ანთალიაში გაიარეს შეკრება და ასე უცბად რა ფინანსური კრიზისი გაჩნდა, ვერ გეტყვით..."

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა ზესტაფონიც კი...

## ამდენი კლუბის ერთი პრობლემა: პრობლემის მოგვარებას პირი არ უჩანს

ამ სეზონის წინ უფულობის გამო უმაღლესი ლიგიდან საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ და საჩხერის „ჩიხურა“ განიდევნენ;

იმის წინა სეზონში ფოთის „კოლხეთს“ და „ცხინვალს“ ზუსტად იგივე პრობლემა შეექმნათ და უმაღლესი ლიგა მათაც დატოვეს;

ერთი სეზონით კიდევ ჩავიწიოთ: გაქრნენ ხაშურის „ივერია“ და წნორის „მილანი“;

2004-2005 წლების სეზონის წინ წყალტუბოს „სამგურალმა“, „რუსთავმა“ და „ქობულეთმა“ ფულს თავი ვერ მოუყარეს და უმაღლეს ლიგას ველარ შესწვდნენ.

იქამდე...

თუმცა კმარა, რაღა აზრი აქვს ჩამოთვლას, თავგზაც აგვებნევა და გამგები კი ამ სიითაც მიხვდება, რასთან გვაქვს საქმე და რა ხდება ქართულ ფეხბურთში...

ოღონდ „ზესტაფონი“ მაინც სულ სხვაა...

კი, ტრადიციებით და ტიტულებით „ტორპედო“ ბევრად აღემატება „ზესტაფონს“ მაგრამ, ერთი რომ, ქუთაისური გუნდი კარგა ხანს ედგა გაკოტრების გზას და ადრე თუ გვიან ის ამბავი რომ შეემთხვეოდა, ყველანი ვგრძნობდით, „ზესტაფონი“ კი...

ერთი სიტყვით, ბოლო წლების უამბიციურესი კლუბი — ამბიციას ძლიერი შემადგენლობა, კარგი დაფინანსება და პირობები რომ უმაგრებდა — საქართველოს ჩემპიონატს ტოვებს.

ერთი სიტყვითო, ვთქვით, მაგრამ აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, სათქმელს ერთ სიტყვაში რომ ვერ ჩაატევ.

უსახსრობის გამოო — წერია ზესტაფონელთა მიერ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაგზავნილ წერილში.

და ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, ჭორები უმალ აგორდა.

ეს რომ ყოფილიყო „ივერია“, „სამგურალი“, „ქობულეთი“, თუგინდ „ტორპედო“ ან ნებისმიერი სხვა, ზემოთ ჩამოთვლილი თუ უხმაუროდ დაშლილ-გაკოტრებული კლუბი, ჭორები აღარ აგორდებოდა...

აღარ აგორდებოდა იმიტომ, რომ მათი უკიდურესი გაჭირვების ამბავი უცხო და უცნაური არავისთვის ყოფილა.

აქ კი სწორედ უცნაურობასთან გვაქვს საქმე.

„ზესტაფონი“ — საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წელგამართული კლუბი;

„ზესტაფონი“ — კლუბი, რომელიც ბლომად ფულს ხარჯავს ფეხბურთელებზე და აგერ ახლახანს ახალი შემატებაც მიიღო: ნიკა გელაშვილი „ვიტ ჯორჯიადან“;

„ზესტაფონი“ — კლუბი, რომელიც რამდენიმე დღეა, უცხოური შეკრებიდან დაბრუნდა;

„ზესტაფონი“ — კლუბი, რომელიც ჩემპიონობისა და თასის მოგების უპირველეს ფავორიტთა შორისაა...



და უცებ პროფლიგაში მისული ფაქსი, უსახსრობის გამოო...

როგორც გინდა მიუდექი, ძალიან უცნაურად ჟღერს და იქ, სადაც უცნაურობაა, ჭორების აგორებასაც რა უდგას წინ.

მაგრამ ჭორებით მსჯელობა ვერაფერს მოგვცემს. რა იმალება ზესტაფონელთა ამ გადაწყვეტილების უკან, ზესტაფონელების გარდა, ვერავინ გვეტყვის. ჩვენც მათ კომენტარებს უნდა დაველოდოთ...

იქამდე კი ვთქვათ, რომ ეროვნული ნაკრებიც და სახელმწიფოს დაპირებული სტადიონებისა და ბაზების აშენებაც ოხრად დაგვირჩება, კლუბები ასე პანტა-პუნტით თუ დაიშალა.

კარგია მატჩების რეპორტაჟები, კარგია პროფლიგის დაწესებული საპრიზო ფონდი და ბევრიც სხვა რამ. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ყველაფერი აზრს კარგავს, „ზესტაფონის“ დარი გუნდებიც კი თუ ვერ ახერხებენ არსებობას და თუ თავში ჩამოთვლილ სიას გავიხსენებთ, იოლად მივხვდებით, რომ პრობლემა გლობალურია და გამოსავალიც იმ ორგანიზაციებმა უნდა მოძებნონ, გლობალური საკითხების მოგვარება რომ ევალებათ.

**გიორგი დარჯანია**



გია მესხელი



# ჰო–ჰო გოლები ისე რა თამაშში

**სრულიად** თანაბარი თამაში და თითო ტაიმში გოლების გაცვლა — ასეთი იყო ახალციხის „მესხეთისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ ტესტ-მატჩი, რომელიც „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა.

პირველ ტაიმში კობა ჟორჟიკაშვილის „სპარტაკი“ დაწინაურდა — ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი ხიდაშელმა ეფექტურად ამოჰკრა და შორეულ კუთხეში ჩააჭედა. ეს 30-ე წუთზე იყო და შესვენებამდე მეტი საინტერესო აღარაფერი მომხდარა, თუ არ გავითვალისწინებთ „მესხეთის“ ნახევარმომენტს, როცა ზურაბ მუშკუდიანის დარტყმა მაქსიმე ქვილითაიამ მოიგერია.

თამაშის განახლებას კი ახალციხელთა ახალწვეულის, ალექსანდრე კოშკაძის გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა, თანაც, რა გოლი: ექს-ოლიმპელმა საჯარიმოს გარედან ოდნავ მოჭრა ბურთი და ცხრიანში შეაგდო — 1:1.

აქვე ვთქვათ, რომ კოშკაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე, მასთან ერთად „მესხეთიდან“ გიორგი მემარნიშვილსაც გამოვარჩევთ. სპარტაკელთაგან კი გოლის ავტორმა ხიდაშელმა და ირაკლი ძარიამ იაქტიურეს სხვებზე მეტად.

„მესხეთს“ ამ მატჩში ხუთი ფეხბურთელი აკლდა, რომელთა უმეტესობას გრიპი აქვს — დავით ინასარიძე, გიორგი სამადაშვილი, მიხეილ თაყაძე, კობა ხანიშვილი და ვახტანგ აკოფიანი.

რაც შეეხება შემადგენლობებს:

***მესხეთი:*** *სომხიშვილი, ჭიაბერაშვილი, ლეკიშვილი, თედიაშვილი, გ. ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოშკაძე, გვირჯიშვილი, ი. თაყაძე, მუშკუდიანი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, სუდაძე.*

***სპარტაკი:*** *ქვილითაია, კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ივანიშვილი, ძარია, თარხნიშვილი, ტყეშელაშვილი, გოგოხია, ხიდაშელი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: დარბაიძე, თექთუმანიძე.*

ნამატჩევს „მესხეთის“ პრეზიდენტ **გია მესხელს** გავესაუბრეთ, რომელმაც რამდენიმე სიახლეზე გვითხრა:

— პირველ რიგში, ვიტყვი, რომ მეორე წრეში საშინაო მატჩებს ბორჯომში გავმართავთ. მინდორი საშინელ დღეში გვაქვს და იქ თამაში შეუძლებელია. ეს მინდორი, თორემ ისე, სტადიონი კარგადაა მოწყობილი. სახელმწიფოს პროგრამაზე გეცოდინებათ — 8 ქალაქში იგეგმება სტადიონის აშენება და ერთ-ერთი ახალციხეცაა. ფინანსურად კი გუნდში ნორმალური სიტუაციაა.

**ილია ნანობაშვილი**

# პროფლიგამ სტადიონებს ჩამოუარა

## მესხეთი ბორჯომში, სპარტაკი ქართლზე, ბათუმი დროებით შინ

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ათი დღე დარჩა.

პირველ წრეში უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდებს არცთუ სახარბიელო სტადიონებზე უწევდათ თამაში და მათი სამეორეწრეო ვარგისიანობა პროფესიული ფეხბურთის ლიგას უნდა შეეფასებინა.

გუშინ პროფლიგამ რამდენიმე სტადიონი მოინახულა. მათგან ერთს, „მესხეთს“, საშინაო თამაშების ჩატარება ახალციხის ნაცვლად ბორჯომში მოუწევს, ახალციხეში კი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყება.

„მესხეთისა“ და „ბორჯომის“ საშინაო მატჩები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ პროფლიგამ სავსებით რეალურად მიიჩნია ამ გადაწყვეტილების განხორციელება. ამის წინააღმდეგ არც „ბორჯომის“ ხელმძღვანელობა წასულა.

პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და საშეჯიბრო სამსახურის მენეჯერი შოთა ბაქრაძე ახალციხის გარდა გორს, ზუგდიდსა და ბათუმს ეწვივნენ.

გარკვეული სამუშაოებია გაწეული გორის „ქართლის“ სტადიონზე — მოწესრიგებულია გასახდელები, მონტაჟდება ინდივიდუალური სკამები... პროფლიგა კმაყოფილი დარჩა, თუმცა სტადიონის ხელმძღვანელობას მითითებებიც მიეცა.

„ქართლზე“ ცხინვალის „სპარტაკი“ ითამაშებს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები ზუგდიდში, მაგრამ მინდვრის მდგომარეობა სახარბიელო არ არის, თუმცა „მგლები“ მეორე წრის მატჩებს მაინც შინ ჩაატარებენ.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბათუმში — „ადელის“ სტადიონზე არაფერი შეცვლილა. სამუშაოები ძალიან ბევრია...

პროფლიგამ „ბათუმს“ „ადელის“ სტადიონზე სეზონის ჩამთავრების უფლება კი მისცა, მაგრამ თუ მომავალი სეზონისთვის საქმე უკეთესობისკენ არ შეიცვალა, დათმობა აღარ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათუმი: გრიშიკაშვილი + მახარაძე

**სეზონი** არ გავა, „ბათუმმა“ თბილისის „დინამოდან“ ფეხბურთელი არ ინათხოვროს.

გუშინ ბათუმელთა მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია თბილისური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და, ფაქტობრივად, გადაწყდა — მეორე წრეში „ბათუმის“ კარს სოსო გრიშიკაშვილი დაიცავს.

ზღვისპირულ კლუბს დაუბრუნდა ნახევარმცველი კახა მახარაძეც, რომელიც ასევე დინამოელთა საკუთრებაა.

**ნუკრი ლოლაძე**

# დილამ სიონს ბოლოს მოუგო

**ქობულეთში** შეკრებაზე მყოფმა გორის „დილამ“ და ბოლნისის „სიონმა“ ტესტ-მატჩი გამართეს. გორელებმა 3:1 იმარჯვეს.

ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი მე-7 წუთზე ჯაბა ბერიანიძის თავურით დაწინაურდა. ბოლნისელებმა ტაიმის ბოლოს შეძლეს გათანაბრება — ბექა ნოზაძის ჩაწოდებულ საგოლე თავური გიორგი კვიტაიშვილმა მიაყოლა.

მატჩის დასრულებას 15 წუთი უკლდა, როცა გიორგი წინამძღვრიშვილმა იხეირა, 82-ე წუთზე კი მურთაზ ბურნაძემაც გაიტანა და 3:1.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***დილა:*** *თ. ილურიძე, ტლაშაძე, ი. გვეტაძე, ბერიანიძე, ბალაშვილი, ლომიძე, ნ. ნოზაძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, გ. მიქაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მ. ბურნაძე, იჩქითი, ბალიაშვილი, იმნაძე, ვარდოსანიძე, რომელაშვილი.*

***სიონი:*** *გ. იაშვილი, კობაური, სვანიძე, ფრიდონაშვილი, ქ. ჩხეტიანი, გ. ოქროპირიძე, კვიტაიშვილი, შავგულიძე, ლ. ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქარდავა, ზ. ჭელიძე, ზ. ავალიანი, მ. ოქროპირიძე, უგულავა, ნაყოფია, რაქვიაშვილი, მიქელაძე.*

14 თებერვალს „დილა“ თბილისის „მერანთან“ გამართავს ტესტ-მატჩს; „სიონი“ კი „ბათუმს“ გაეჯიბრება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ლოკომ გოლიაობა მეორედან დაიწყო

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივი“ ამხანაგურად ეთამაშა თბილისის „დინამო 2“-ს და 2:0 დაამარცხა.

გიორგი კიკნაძის შეგირდებმა ორივე გოლი მეორე ნახევარში გაიტანეს — 55-ე წუთზე საჯარიმოს გარედან გაგა ბარბაქაძემ დაარტყა ზუსტად, მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა გილაურმა გაიტანა.

კიკნაძემ მეორე ტაიმში ბევრი ფეხბურთელი გასინჯა, ხოლო სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ნიკოლაიშვილი, გულორდავა, ალავერდაშვილი, ბარბაქაძე, კაჭახიძე, დ. ჩაგელიშვილი, ბახტაძე.*

ტრავმების გამო კვლავ არ უთამაშიათ ირაკლი სამხარაძეს, ალეკო კაიდარაშვილს, ზვიად ჩხეტიანს და აკაკი ქუხილავას.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჰიუზს ხიზანიშვილი და დაცვა მოსწონს

**ზედიზედ** მეორე მატჩია, „ბლექბერნის“ ძირითადში ხვდება ზურაბ ხიზანიშვილი.

გუშინწინ ხიზანას „არსენალისა“ და ემანუელ ადებაიორის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. მართალია, ადებაიორი გოლით გამოირჩა, მაგრამ სპეციალისტებმა ქართველის თამაში მაინც დადებითად შეაფასეს. „კარდების“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი კი მცველების თამაშით აღფრთოვანებული დარჩა...

„ვთვლი, რომ „ბლექბერნის“ დაცვაში მძაფრი კონკურენციაა. ზურაბ ხიზანიშვილმა და ანდრეს ოიერმა შესანიშნავად ითამაშეს. მათ ადებაიორს, ფაქტობრივად, გასაქანი არ მისცეს. „არსენალის“ ვარსკვლავმა მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხა თავის გამოჩენა“ — განაცხადა ჰიუზმა.

„ბლექბერნმა“ 0:2 წააგო და ჰიუზის კომენტარი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, თუმცა, ჩანს, უელსელი მწვრთნელი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად დათრგუნვას მოერიდა და კმაყოფილება საჯაროდ გამოხატა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ზურაბ ხიზანიშვილი და ემანუელ ადებაიორი



# საქართველოში ჩემზე მეტად ფეხბურთი არავის უყვარს მამუკა კვარაცხელია ისევ და ისევ უტევს

გუშინ „ლიდერთა სკოლაში“ მამუკა კვარაცხელიამ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს თავის გეგმებზე ესაუბრა. კვარაცხელია, ვინც ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი იყო, სფფ-ის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად ბრძოლას განაგრძობს. უახლოეს დღეებში კი საზოგადოებას იმ ადამიანებს გააცნობს, ვისთან ერთადაც ქართული ფეხბურთის სათავეში მოსვლას გეგმავს...

— სანამ ლატვიასთანაც არ წააგო ნაკრებმა, ხმის ამოღება არავინ ისურვა. ლატვიელებმა უკვე ტექნიკაშიც გვაჯობეს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ გერმანელი მწვრთნელები მილიონებს დაუმსახურებლად იღებენ. ერთადერთი ვარ, ვინც ტოპმიოლერს დანიშვნის დღიდან ვაკრიტიკებ. დღეიდან ვიწყებ ბრძოლას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად...

...ფედერაციამ მილიონები ტყუილად გაფლანგა. გერმანელ მწვრთნელს ხელფასი იმიტომ კი არ შეუმცირეს, რომ ეს მოთხოვნა იყო, მიზეზი სხვა გახლავთ — ფედერაციის ბიუჯეტი დაცარიელებულია. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება, მალე გაიმართოს რიგგარეშე ყრილობა. ასევე ვიწყებ მოლაპარაკებებს რეგიონალური ფედერაციების პრეზიდენტებთან. სირცხვილია, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას ზაზა ბეგაშვილი ხელმძღვანელობდეს. თან, როგორც ვიცი, ის ჩინეთში მიდის ელჩად... მე ვიბრძოლებ ამ პოსტის დასაკავებლად. განვითარებულ ქვეყნებში დედაქალაქის ფედერაციებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, რადგან ეს ერთ-ერთი ბურჯია საფეხბურთო სპექტრში...

...აქედან პირდაპირ კულტურისა და სპორტის სამინისტროში მივდივარ მინისტრ ნიკა ვაჩეიშვილთან სალაპარაკოდ. გიორგი გაბაშვილთან არ მისაუბრია, რადგან აზრი არ ჰქონდა — ტოპმიოლერი მისი დანიშნული იყო. იმედი მაქვს, რომ ვაჩეიშვილს დავარწმუნებ გერმანელ მწვრთნელთა უმაქნისობაში. ამ კაცს პატივს ვცემ. ის ქართულ ძეგლებს უფრთხილდებოდა და იგივეს ფეხბურთშიც თუ გააკეთებს, კარგს იზამს...

...მივხვდი, რომ საქართველოში ჩემზე მეტად ფეხბურთი არავის უყვარს. დღეს ქართულ ფეხბურთში სავალალო მდგომარეობაა — საერთოდ აღარ არსებობს ბავშვთა ფეხბურთი. ცუდი სიტუაციაა უმაღლეს ლიგაშიც. ჩემპიონატის ბედი სულ ოთხ კაცზეა დამოკიდებული. „ზესტაფონიც“ თუ აღარ გამოვიდა, საშინელება იქნება...

...ჩემი ინტერესი ქართული ფეხბურთის აყვავებაა, ამ სიტყვებს სიამაყით ვამბობ. ეს ხალხი აუცილებლად უნდა ჩამოშორდეს ფედერაციას კანონის ფარგლებში...

...ტოპმიოლერი ერთ წამში ლარს იღებს და რას აკეთებს?! ჰერბერტ ცანკერი იმაზე მეტს იღებდა, ვიდრე ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი სლავენ ბილიჩი, ვინც ინგლისი დაამარცხა. ჰაინც ტოპმიოლერი კი ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელზე მეტს გამოიმუშავებდა...

...სერიოზულ ბრძოლას ვაპირებ. უახლოეს დღეებში ჩემს გუნდსაც წარვადგენ. წინა არჩევნების დროს საფეხბურთო საზოგადოება შეშინებული იყო. მივხვდი, რომ მხარდამჭერთა გარეშე არაფერი გამოვა. უდიდესი როლი დაეკისრებათ ჟურნალისტებსაც და ისინი ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ სფფ-ში.

**ლექსო მაისურაძე**

# ანანიძის პირველი გოლი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელმა ჯანო ანანიძემ კიევის „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკში“ რომ გაცვალა, ადრეც ვწერდით.

16 წლის ფეხბურთელმა რუსულ კლუბში უკვე თავისი გოლების ანგარიშიც გახსნა — „სპარტაკის“ ახალგაზრდული გუნდი იტალიურ შეკრებაზეა და იქაურ „ფორნაჩს“ 13:0 მოუგო. ანანიძე მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და ერთი ბურთის გაიტანა მოახერხა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველიამ ქალაქი ჯერ ვერ შეიცვალა

**საქართველოს** ნაკრების მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია კლუბის შეცვლას აპირებდა — თითქოს ყველაფერი მოგვარებული იყო და ზაპოროჟიული „მეტალურგი“ დონეცკურში უნდა გაეცვალა. ეს დათომ ჩვენც გვითხრა და უკრაინული მედიაც ამ ინფორმაციას ავრცელებდა.

დეტალების დასაზუსტებლად გუშინ კვირკველიას უკრაინაში შევეხმიანეთ...

„ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. ისევ ზაპოროჟიელებთან ერთად ვვარჯიშობ, ხუთშაბათს გუნდი ესპანურ შეკრებაზე მიდის და მეც მივყვები“ — გვითხრა დათომ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამისულაშვილის პენალტი ჯგუფურ ფინალამდე

**ესპანეთში** მიმდინარე „ლა მანგას თასი“ მოგებით დაიწყო ალექსანდრე ამისულაშვილისა და გოგიტა გოგუას ნალჩიკის „სპარტაკმა“. ყაბარდოელებმა პირველ მატჩში ნორვეგიულ „ლილესტრიომს“ 3:1 სძლიეს.

მეორე გოლი ამისულაშვილმა პენალტით 89-ე წუთზე გაიტანა, როცა „ნალჩიკი“ ორკაცნაკლული იყო.

ორივე ქართველი სასტარტოში იყო და სრულადაც გაისარჯა.

ნალჩიკელები ჯგუფის ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე დონეცკის „შახტარი“ იქნება, ამათგან გამარჯვებული ტურნირის ფინალში ითამაშებს, დამარცხებული კი — მესამე ადგილისთვის იბრძოლებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზაკარპატიე ორ ქართველს ელის

**უჟგოროდის** „ზაკარპატიეს“ ორი ქართველი ფეხბურთელი შეემატებაო, შევიტყვეთ.

გვარები უცნობია, თუმც ის ვიცით, რომ ორივე მათგანი მცველია.

„ზაკარპატიე“ უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია. პირველ წრეში კი ამ გუნდში თამაშობდნენ ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი, რომლებიც ახლა „ხარკოვში“ არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# სამი კაუნასში

**ლიტვის** ჩემპიონი „კაუნასი“, რომელშიც გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია თამაშობენ, შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა.

კაუნასელთა მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ზიგმანტოვიჩმა ანთალიაში სამივე ქართველი ლეგიონერი წაიყვანა.

„კაუნასი“ ამ შეკრებაზე ამხანაგურ მატჩებს რუმინულ „ვასლუისთან“, დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან“, უჟგოროდის „ზაკარპატიესთან“ და რუსეთის პირველდივიზიონელ „ურალთან“ ჩაატარებს.

**კახა შალამბერიძე**

# დიდი ჯანყი მოლდოვაში

**მოლდოვურ** „ზიმბრუში“ ფეხბურთელები აჯანყდნენ და მათ შორისაა ქართველი მამუკა ლომიძეც.

აბუნტებულები კუთვნილ პრემიებს ითხოვდნენ, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და თურქულ შეკრებაზე „ზიმბრუ“ წამყვანი ფეხბურთელების გარეშე გაემგზავრა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიმურგი ამინდთან დამარცხდა



**აზერბაიჯანული** „სიმურგი“ შეკრებას საქართველოში გადიოდა და, როგორც გუნდის აზერბაიჯანში დაბრუნების შემდეგ გაირკვა, მისი უკრაინელი მწვრთნელი რომან პაკორა ქართული შეკრებით უკმაყოფილო დარჩენილა — მას საქართველოში ამინდები არ მოსწონებია, თუმცა ის კი თქვა, რომ ანთალიაში წასვლას თბილისში წასვლა სჯობდა, რადგან ქართული ამინდები აზერბაიჯანულს უფრო ჰგავს და ფეხბურთელებს ადაპტაცია არ გაუჭირდებათო.

შეგახსენებთ, რომ ზაქათალელებმა საქართველოდან დავით ბოლქვაძე გაიყოლეს, ვინც „ამერმა“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ორგოლიანი მშრალი დებიუტი

## ტრაბზონსფორმა გაბელიას შადობაც მიუმატა

**ახალი** ამბები საქალფეხბურთო თურქეთიდან: „ტრაბზონსფორმა“ ახალგაზრდა ქართველი მეკარე ქრისტინა შადობაც აიყვანა და გასულ შაბათს მას და გულნარა გაბელიას ახალ გუნდში დებიუტი ჰქონდათ.

გაგახსენებთ: ნაახალწლევს „ტრაბზონსფორის“ ქალთა გუნდში სენაკელი გულნარა გაბელია გადავიდა და მალევე ამ გუნდში ბათუმელი ქრისტინა შადობაც ჩავიდა გასინჯვაზე.

ქრისტინამ მწვრთნელებს თავი მოაწონა და კონტრაქტიც გაფორმდა.

ქართველების დებიუტი კი ტრაპიზონულ დერბიში შედგა — „ტრაბზონსფორი“ თანაქალაქელ „იდმაოჯას“ ესტუმრა.

ეს გუნდი საკვალიფიკაციო ჯგუფში „ტრაბზონსფორის“ მთავარი კონკურენტი იყო.

მწვრთნელმა გულნარა გაბელია და ქრისტინა შადობა სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და ორივემ 90-90 წუთი ითამაშა.

გაბელიამ მატჩის მე-5 და 87-ე წუთებზე გამოიჩინა თავი — ჯერ შორეული დარტყმით შეაგდო, მეორე კი მეკარესთან პირისპირ გასვლით იხეირა.

ბოლო წუთზე კი ქართველმა თავდამსხმელმა მესამე გოლშიც ლომის წვლილი დაიდო.

საბოლოოდ, „ტრაბზონსფორმა“ 3:0 იმარჯვა.

რაც შეეხება ქრისტინას — მეორე ტაიმში რამდენიმე სახიფათო დარტყმული მოიგერია და მშრალად შეინახა კარი.

ამ მოგებით „ტრაბზონსფორმა“ ჯგუფიდან გასვლა პრაქტიკულად გაინაღდა, მეორე დღეს კი ტრაპიზონისა და შავიზღვისპირეთის ყველა გაზეთი გულნარა გაბელიას სურათებით აჭრელდა. მან ჟურნალისტებისგან ყველაზე მაღალი შეფასება (4 ვარსკვლავი) დაიმსახურა, ქრისტინას კი 3 ვარსკვლავი ერგო.

**კახა შალამბერიძე**



ქრისტინა შადობა და გულნარა გაბელია



გულნარა გაბელია სადებიუტო მატჩში

# უეფას თასი 2007-2008
## 1/16 ფინალი. I მატჩები. დღეს

# უეფა მოსულა, ლიგა მოდის

**ზენიტი** (რუსეთი) — **ვილიარეალი** (ესპანეთი)
**გალათასარაი** (თურქეთი) — **ლევერკუზენი** (გერმანია)
**აეკ** (საბერძნეთი) — **ხეტაფე** (ესპანეთი)
**ბრანი** (ნორვეგია) — **ევერტონი** (ინგლისი)
**ვერდერი** (გერმანია) — **ბრაგა** (პორტუგალია)
**ანდერლეხტი** (ბელგია) — **ბორდო** (საფრანგეთი)
**მარსელი** (საფრანგეთი) — **სპარტაკი** (რუსეთი)
**პსვ** (ჰოლანდია) — **ჰელსინგბორგი** (შვედეთი)
**რეინჯერსი** (შოტლანდია) — **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
**სპორტინგი** (პორტუგალია) — **ბაზელი** (შვეიცარია)


„ანდერლეხტი" ბორდოელთა სამასპინძლოდ ემზადება

**ევროპული** საკლუბო ფეხბურთი, ორთვიანი შესვენების შემდეგ, დღეს უეფას თასით განახლდება და მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგაც დაგვიბრუნდება.

რუსეთის ჩემპიონი „ზენიტი" „ვილიარეალს" უმასპინძლებს, რომელმაც შაბათს „მურსიას" სტუმრად 1:0 მოუგო და პრიმერადივიზიონში მესამე ადგილზე აინაცვლა. ზენიტელთა თავკაცი დიკ ადვოკაატი სამწვრთნელო კარიერაში შვიდჯერ შეხვდა ესპანურ კლუბებს და ერთი გამარჯვებაც ვერ მიითვალა — ხუთჯერ დამარცხდა და ორი თამაში ფრედ დაასრულა. სამაგიეროდ, „ზენიტს" ევროთასებზე შინ უკვე 21 მატჩია, არ წაუგია. თავის მხრივ, „ვილიარეალმა" შემოდგომაზე უეფას თასზე სამივე გასვლითი თამაში მოიგო და თითოეულში ორ გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

თურქეთის ჩემპიონატის ლიდერი „გალათასარაი" „ლევერკუზენს" დაუხვდება. „გალამ" გასულ უქმეზე „მანისას" 6:3 სძლია, ხოლო „ლევერკუზენი" შინ „ჰამბურგს" 1:1 დაუზავდა. თურქთა გერმანელი მწვრთნელი, 73 წლის კარლ-ჰაინც ფელდკამპი ევროთასებზე კარიერაში პირველად შეხვდება გერმანულ კლუბს. „ფარმაცევტები" აქამდე სამჯერ გადაეყარნენ თურქულ გუნდს და სამივეჯერ მოიგეს, „გალათასარაის" კი ბუნდესლიგელებთან ბოლო ოთხი მატჩი არ წაუგია.

ათენის აეკ-ს უარყოფითი ბალანსი აქვს ესპანურ კლუბებთან, რადგან უკვე ექვსი მატჩია, მათთვის არ მოუგია. ბოლოს ბერძნებმა ათენში „ბილბაო" დაამარცხეს 1988 წელს და დღეს „ხეტაფესთან" ნავსის გატეხვას შეეცდებიან. აეკ-მა შაბათს სტუმრად „ლარისასთან" 0:1 წააგო, „ხეტაფემ" კი ლა კორუნიაში „დეპორტივოსთან 1:1 ითამაშა.

ნორვეგიის ჩემპიონი „ბრანი" „ევერტონს" ხვდება, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე ოთხივე შეხვედრა მოიგო და წყვილშიც ფავორიტად ითვლება. ბერგენელები ოთხჯერ გადაეყარნენ ინგლისურ კლუბებს ევროთასებზე და გამარჯვებას ვინ ჩივის, ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანეს. „ევერტონმა" პრემიერლიგაში შაბათს „რედინგი" 1:0 დაამარცხა.

ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილი „ვერდერის" მეტოქე „ბრაგაა", რომელსაც გასულ უქმეებზე ჩემპიონატში არ უთამაშია. პორტუგალიაში თასის მერვედფინალის მატჩები გაიმართა, „ბრაგა" კი გათამაშებას ადრევე გამოეთიშა, ხოლო „ვერდერმა" მიუნხენში „ბაიერნთან" შეხვედრა 1:1 დაასრულა.

მოსკოვის „სპარტაკი" „მარსელს" ესტუმრება, რომელიც მწვრთნელად ერიკ გერეტსის მისვლის შემდეგ აღმავლობას განიცდის. ბელგიელმა გუნდი შემოდგომაზე ჩაიბარა და იმდენი მოახერხა, რომ ფრანგული ელიტის ქვედა სამეულიდან ამოიყვანა და მეხუთე ადგილზე ალაზევა. გასულ კვირას „მარსელმა" სტუმრად „ნიცას" 2:0 მოუგო ნიანგისა და სისეს გოლებით. „მარსელი" და „სპარტაკი" ერთმანეთს ჩემპიონთა თასის 1990-91 წლების გათამაშების ნახევარფინალში გადაეყარნენ. ფრანგებმა შინ 2:1 იმარჯვეს, სტუმრად კი — 3:1. ორივე მატჩში მოსკოველთა კარში სტანისლავ ჩერჩესოვი იდგა, რომელიც ამჟამად „სპარტაკის" მწვრთნელია. საფრანგეთში სპარტაკელთა ცხრა სტუმრობიდან რვა წაგებით დასრულდა და ერთხელაც — ფრედ.

ეინდჰოვენში „ჰელსინბორგი" ჩავა 36 წლის ჰენრიკ ლარსონით, ვინც უეფას თასზე ხუთი გოლი მიითვალა. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ „ჰელსინბორგის" მწვრთნელი სტიუარტ ბაქსტერი გადადგა და ახლა ფინეთის ნაკრებს თავკაცობს, მისი ადგილი კი კლუბის სპორტულმა დირექტორმა ბო ნილსონმა დაიკავა. ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერმა პსვ-მ გასულ შაბათს „ჰერენვენთან" 1:1 ითამაშა.

„ანდერლეხტი" ლორან ბლანის „ბორდოს" დაუხვდება, რომელიც ამ სეზონში ძალიან კარგად თამაშობს, ფრანგულ პირველობაში მეორე ადგილზეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ბლანის შეგირდებმა გასულ უქმეებზე „მეცი" 3:0 დაამარცხეს. ფერნანდო კავენაგიმ დუბლი შეასრულა, მესამე გოლი კი ალუ დიარამ შეაგდო. ბელგიის ჩემპიონატის მეხუთეადგილოსანმა „ანდერლეხტმა" სტუმრად „ბრიუსელს" 4:2 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი საშინაო ევრომატჩიდან „ანდერლეხტმა" მხოლოდ ერთში იმარჯვა.

შოტლანდიისა და საბერძნეთის ჩემპიონატების ლიდერები „რეინჯერსი" და „პანათინაიკოსი" ერთმანეთს გლაზგოში დაეჯახებიან. „რეინჯერსმა" „ფოლკირკს" 2:0 სძლია, „პანათინაიკოსმა" კი „ვერიას" — 1:0. „ჩაფრები" ბერძნულ კლუბებს აქამდე ექვსჯერ გადაეყარნენ. ერთი მატჩი მოიგეს, ორი ფრედ დასრულდა და სამჯერ წააგეს, ხოლო „პანათინაიკოსი" შოტლანდიელებთან სამ შეხვედრაში არ დამარცხებულა.

ლისაბონის „სპორტინგისთვის" „ბაზელთან" მატჩი საიუბილეო, ევროთასებზე მე-200 იქნება. მასპინძლებს ტრავმის გამო ადრიენ სილვა, ხოლო სტუმრებს სკოტ ჩიპერფილდი დააკლდება. შაბათს თასის მერვედფინალში „სპორტინგმა" „მარიტიმუს" 2:1 სძლია, ხოლო „ბაზელმა" ჩემპიონატში „ქსამაქსს" — 3:0.

**ვაჟა ხუციშვილი**


ადებაიორმა მეცხრამეტე გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადებაიორის ცხრიდან ცხრა

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXVI ტური**

**არსენალი 2:0 ბლექბერნი**

**1:0 სენდეროსი (4), 2:0 ადებაიორი (90)**
**არსენალი:** ლემანი, სანია, გალასი, სენდეროსი, კლიში, ფაბრეგასი, ფლამინი, ჟილბერტო სილვა, გლები, ედუარდო, ადებაიორი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ოიერი (რიგტერსი 80), ხიზანიშვილი, უორნოკი, თუგაი (მოკოენა 77), ბენტლი, რიდი, მაკკარტი (რობერტსი 77), ბერნერი, სანტა კრუზი
**მწვრთნელი:** მარკ ჰიუზი
**გაფრთხილება:** ფაბრეგასი
**მსაჯი:** ბენეტი
**60 049 მაყურებელი**

**„არსენალმა"** ისარგებლა „მანჩესტერის" მარცხით და მდევარს ხუთი ქულით დაუსხლტა. „მეთოფეებმა" „ბლექბერნი" დაამარცხეს სენდეროსისა და ადებაიორის მიერ თავსა და ბოლოში გატანილი გოლებით. ტოგოელმა ფორვარდმა ზედიზედ მეცხრე მატჩში შეაგდო, სულ 19 მოაგროვა და კრიშტიანუ რონალდუს გაუთანაბრდა.

„ბლექბერნს" ბოლო 12 გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ორი წაეგო და არცთუ ურიგო ფორმაში იყო, მაგრამ რამდენიმე დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული ფეხბურთელის გარეშე „არსენალთან" გაუჭირდა. ედუარდო და სილვამ კუთხურიდან ჩააწოდა, ფილიპ სენდეროსმა კი მცველებს დაასწრო და თავით გაიტანა. ამის შემდეგ მატიე ფლამინის დარტყმული ბრედ ფრიდელმა მოიგერია, ხოლო ბენი მაკკარტიმ თავურით ახლოდანააცილა.

შესვენების მერე ალექსანდრ გლებმა ბურთი ძელს გაარტყა, ფრიდელმა კი ადებაიორს სამჯერ აუღო. ტოგოელმა ბოლოს მაინც შეაგდო, როცა გლებისგან პასი მიიღო, ბურთი აიგდო და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

„ვფიქრობ, რომ ამ სეზონში გუნდი წნეხს უძლებს და აუცილებლად მოსაგებ მატჩებში საუცხოოდ თამაშობს. ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტური დარჩა და „ბლექბერნთან" მოგებით საქმე დავიწინაურეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობა შეგვიძლია, ოღონდ არ უნდა მოვდუნდეთ" — თქვა არსენ ვენგერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 26 | 19 | 6 | 1 | 54:18 | 63 |
| მანჩესტერი | 26 | 18 | 4 | 4 | 50:14 | 58 |
| ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38:17 | 55 |
| ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41:23 | 47 |
| ლივერპული | 25 | 11 | 11 | 3 | 40:17 | 44 |
| ასტონ ვილა | 26 | 12 | 8 | 6 | 48:34 | 44 |
| სიტი | 26 | 12 | 8 | 6 | 34:29 | 44 |
| პორტსმუთი | 26 | 11 | 8 | 7 | 36:26 | 41 |
| ბლექბერნი | 26 | 10 | 9 | 7 | 32:33 | 39 |
| ვესტ ჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 30:23 | 37 |
| ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48:41 | 32 |
| მიდლსბრო | 26 | 7 | 8 | 11 | 23:38 | 29 |
| ნიუკასლი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:47 | 28 |
| სანდერლენდი | 26 | 7 | 5 | 14 | 26:45 | 26 |
| ბოლტონი | 26 | 6 | 7 | 13 | 26:35 | 25 |
| უიგანი | 26 | 6 | 5 | 15 | 24:42 | 23 |
| ბირმინგემი | 26 | 5 | 7 | 14 | 25:38 | 22 |
| რედინგი | 26 | 6 | 4 | 16 | 30:53 | 22 |
| ფულემი | 26 | 3 | 10 | 13 | 25:44 | 19 |
| დერბი | 26 | 1 | 6 | 19 | 13:55 | 9 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

**ალემანია 3:2 კიოლნი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 19 | 10 | 7 | 2 | 39:23 | 37 |
| ფიურტი | 19 | 10 | 5 | 4 | 33:22 | 35 |
| მაინცი | 19 | 9 | 5 | 5 | 33:19 | 32 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 7 | 4 | 31:22 | 31 |
| კიოლნი | 19 | 9 | 4 | 6 | 35:27 | 31 |
| ფრაიბურგი | 19 | 8 | 7 | 4 | 30:24 | 31 |
| ჰოფენჰაიმი | 19 | 7 | 7 | 5 | 30:29 | 28 |
| ალემანია | 19 | 7 | 6 | 6 | 28:27 | 27 |
| ვეჰენი | 19 | 6 | 8 | 5 | 28:28 | 26 |
| აუგსბურგი | 19 | 7 | 5 | 7 | 27:28 | 26 |
| ზანკტ პაული | 19 | 6 | 6 | 7 | 23:27 | 24 |
| კობლენცი | 19 | 5 | 8 | 6 | 22:27 | 23 |
| ოსნაბრიუკი | 19 | 5 | 6 | 8 | 26:35 | 21 |
| ოფენბახი | 19 | 5 | 6 | 8 | 20:33 | 21 |
| აუე | 19 | 5 | 4 | 10 | 24:33 | 19 |
| ლაუტერნი | 19 | 3 | 7 | 9 | 19:24 | 16 |
| პადერბორნი | 19 | 2 | 9 | 8 | 14:23 | 15 |
| კარლ ცაისი | 19 | 3 | 5 | 11 | 27:38 | 14 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIII ტური

**ბრესტი 1:2 ნანტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 23 | 13 | 8 | 2 | 38:18 | 47 |
| ნანტი | 23 | 13 | 6 | 4 | 35:19 | 45 |
| ტრუა | 23 | 11 | 8 | 4 | 30:20 | 41 |
| ბასტია | 22 | 11 | 6 | 5 | 32:19 | 39 |
| კლერმონი | 23 | 8 | 12 | 3 | 33:23 | 36 |
| მონპელიე | 23 | 9 | 8 | 6 | 26:18 | 35 |
| გრენობლი | 23 | 9 | 8 | 6 | 29:23 | 35 |
| ანჟერი | 23 | 9 | 8 | 6 | 23:20 | 35 |
| სედანი | 23 | 8 | 9 | 6 | 28:26 | 33 |
| აიაჩო | 23 | 8 | 8 | 7 | 25:25 | 32 |
| რეიმსი | 22 | 8 | 4 | 10 | 26:35 | 28 |
| ბულონი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:33 | 27 |
| ბრესტი | 23 | 7 | 6 | 10 | 20:30 | 27 |
| გენგამი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:24 | 26 |
| შატორუ | 23 | 6 | 8 | 9 | 23:26 | 26 |
| ამიენი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:32 | 23 |
| ნიორი | 23 | 6 | 4 | 13 | 20:27 | 22 |
| დიჟონი | 23 | 4 | 10 | 9 | 16:32 | 22 |
| ლიბურნი | 23 | 4 | 7 | 12 | 26:39 | 19 |
| გენიონი | 23 | 2 | 8 | 13 | 22:35 | 14 |

# სარკაზმი დანაზე მჭრელია!


სტეფანო ფარინა

**იტალიაში ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი საფეხბურთო თემა „ინტერისადმი“ მსაჯების კეთილგანწყობაა. კვირას არბიტრები, კერძოდ კი, სტეფანო ფარინა, კიდევ ერთხელ შეცდა „ნერაძურის“ სასარგებლოდ. მან ოფსაიდში მყოფი ესტებან კამბიასოს გოლი ჩათვალა და საბოლოოდ მილანელებმა 2:0 იმარჯვეს. ამის თაობაზე გუშინაც გვეწერა. „კატანიას“ ფანების ნაწილი ამას ირონიით შეხვდა, რაც ჟურნალისტ სუზი კამპანალეს ძალიან მოეწონა, იმედი მაქვს, ტიფოზების კულტურაში შეცდომებისადმი ასეთი მიდგომა დაინერგებაო. რა საჭიროა ხულიგნობა, როცა გაქვს სარკაზმი?**

**წინა** სეზონის დიდი ნაწილი „სტადიო მასიმინო“ ცარიელი გახლდათ. ალბათ იცით, რომ ამის მიზეზი პოლიციელ ფილიპო რაჩიტის მკვლელობა იყო. იგი სიცოცხლეს „კატანიას“ ფანებმა გამოასალმეს. სიცილიელთა ქომაგები გადამეტებული ხულიგნობით გამოირჩეოდნენ და ამის გამო, ზოგი მათი სერია A-დან მოკვეთასაც კი ითხოვდა. სწორედ ამიტომ ძალიან მახარებს და მეამაყება იმ ახალ მეთოდზე ლაპარაკი, რომელსაც „ელეფანტის“ გულშემატკივრებმა მსაჯებთან დამოკიდებულებაში მიაგნეს. ეს ახალი გზა კარგი, ძველი და ეფექტური სარკაზმია.

როცა სტეფანო ფარინა ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, რომლებსაც კატანიელები არ ეთანხმებოდნენ, ფანების რეაქცია ტრადიციული სტვენა, ყვირილი და ბილწსიტყვაობა გახლადთ. კამბიასოს თამაშგარედან გატანილი გოლის მერე, ზოგიერთმა პროტესტის ნიშნად მინდორზე რაღაცების სროლაც კი დააპირა. სწორედ ასეთი ატმოსფეროა ვირუსივით საშიში, როცა სიბრაზე საღ აზრზე იმარჯვებს და მერე შეიძლება, ყველაფერი მოხდეს.

პარალელურად, ზოგიერთი ბრწყინვალედ შეხვდა ფარინას გადაწყვეტილებას — უბრალოდ, ღიმილით. მათ ნელ-ნელა სხვებიც აჰყვნენ და... არასდროს მინახავს მთელ სტადიონს თავისი გუნდის წაგებით ასე ეხალისოს. მსაჯის ყველა ჩასტვენას ფეხზე ადგომით და ტაშით ეგებებოდნენ. მატჩის ბოლო ნახევარ საათში ფარინამ იმდენი ოვაცია და ყურადღება დაიმსახურა, დიეგო არმანდო მარადონასაც შეშურდებოდა.

ეს ბრწყინვალე გეგმა გახლდათ. შედეგად, ფანებმა სტადიონი სიცილით დატოვეს და წაგების მიუხედავად, კარგ ხასიათზე იყვნენ. პარალელურად კი ძალიან დააბნიეს ფარინა, რასაც ტრადიციული ყვირილითა და სხვა დანარჩენით ვერ მიაღწევდნენ. საფინალო სასტვენისთანავე გამოცდილი მსაჯი შეშინებული გავარდა სტადიონიდან, ისე რომ მატჩის შემდგომ „პროცედურებს“ არც დასწრებია.

ეს გახლდათ დიდებული ფურცელი ტიფოზების კულტურის ისტორიაში და იმედია, სამაგალითოცაის იდიოტები, რომლებიც პროტესტს ხულიგნობით, რასიზმით, ანტისემიტიზმით და სხვა დანაშაულებრივი მეთოდებით გამოხატავენ, კალჩოს ცუდის მეტს ვერაფერს მოუტანენ. თუ შევძლებთ და ჯანსაღი სარკაზმით ფანობაში აგრესიას დავაცხრობთ, ამაზე კარგი არაფერი იქნება. ასე მსაჯებზეც ნორმალური ზეწოლა იქნება და მთლიანობაში ვითარება ერთიორად გამოსწორდება.

**სუზი კამპანალე**

# ფარინამ აღიარა და ახსნა

**სტეფანო ფარინამ** აღიარა, რომ „კატანიასა“ და „ინტერის“ მატჩში შეცდომა დაუშვა, როცა ესტებან კამბიასოს გოლი ჩათვალა, რადგან არგენტინელი თამაშგარეში გახლდათ. სიცილიელი ქომაგები მის ამ გადაწყვეტილებას ირონიით შეხვდნენ და მთელი დარჩენილი დროის მანძილზე მსაჯს ცინიკურ ოვაციებს უწყობდნენ.

„მოგვიანებით ვნახე ტელევიზორში კამბიასოს გოლი და შეცდომასაც ვაღიარებ“ — თქვა ფარინამ.

მატჩის შემდეგ ფარინა კიდევ ერთხელ შეცდა, როცა „ტერცო ტემპოს“ არ დაესწრო და პირდაპირ გასახდელში შევარდა. „ტერცო ტემპოს“ (მესამე ტაიმს) იტალიაში იმ პროცედურას ეძახიან, როცა თამაშის დამთავრების მერე ფეხბურთელები ერთმანეთს და მსაჯებს ხელს ართმევენ.

„სიმართლე გითხრათ, არ ვთვლი, რომ ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო, თუმცა იმ მომენტში მივიჩნიე, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. რასაკვირველია, ფეარ პლეის წესებს ვიზიარებ, მაგრამ საფინალო სასტვენის მერე აღარ მინდოდა, ვინმე ზედმეტად გამეღიზიანებინა და ამიტომ დავტოვე მინდორი ნაადრევად“ — დასძინა ფარინამ.

მსაჯების დამნიშვნელი პიერლუიჯი კოლინა: „უკვე მრავალჯერ ვთქვი, რომ, ცხადია, მსაჯები შეცდომებს უშვებენ და ვითარება გამოსასწორებელია, თუმცა ეს ყველაფერი მშვიდად უნდა მოხდეს. ბევრი ახალი და ახალგაზრდა მსაჯი გვყავს, რომლებსაც დრო უნდა მივცეთ“.


ესტებან კამბიასო არასათვლელ გოლს ზეიმობს

მსაჯებს გამოექომაგა „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტოც: „უხეში შეცდომები ბევრია და მათი რაოდენობა აუცილებლად უნდა შემცირდეს, მაგრამ გამოსავალი ერთად და მშვიდად უნდა ვეძებოთ. ახალბედა მსაჯებს კი გაზრდის საშუალება უნდა მივცეთ“.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ნიურნბერგმა ფონი ნახა

**„ნიურნბერგის“** მწვრთნელი ჰანს მაიერი მოხსნეს. წინა სეზონის გერმანიის თასის მფლობელმა 19 მატჩიდან მხოლოდ ოთხი მოიგო, 11 წააგო და 16 ქულით გასავარდნთა ზონაშია. მაიერის ადგილს, სავარაუდოდ, ბილეფელდის „არმინიას“ ყოფილი თავკაცი ტომას ფონ ჰესენი დაიკავებს. გასულ შაბათს „ნიურნბერგი“ როსტოკის „ჰანზას“ შინ დაუზავდა (1:1) და ჰანს მაიერს ეს აღარ აპატიეს. მან გუნდი 2000 წლის შემოდგომაზე ჩაიბარა, წინა სეზონში უეფას თასზე გაიყვანა და „ნიურნბერგი“ ხვალ მეთექვსმეტედფინალში სტუმრად „ბენფიკას“ შეხვდება.

## დედე ოთხით გადადეს

**„დორტმუნდის“** ნახევარმცველი დედე ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს — კვირას, „შალკესთან“ მატჩის 76-ე წუთზე ივან რაკიტიჩს ეუხეშა და გააძევეს, სადისციპლინო კომიტეტმა კი ორშაბათს განაჩენი გამოუტანა. დედე „დორტმუნდს“ „კოტბუსთან“, „ჰანზასთან“, „ვერდერსა“ და „ჰერტასთან“ შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

## გრანტი VDV-ს ითხოვს

**„ჰამბურგიდან“** რაფაელ ვან დერ ვაარტის ყიდვა „ჩელსის“ სურს. ავრაამ გრანტი ძალიან მოწადინებულია 25 წლის ჰოლანდიელის შეძენით და ეს საქმე ტექნიკურ დირექტორ ფრანკ არნესენს დაავალა. „სანის“ ცნობით, დირექტორი უკვე შეხვდა ფეხბურთელის აგენტ სორენ ლერბის და მოლაპარაკება დაიწყო. ვან დერ ვაარტის ფასი დაახლოებით 20 მილიონი გირვანქაა. მან ამ სეზონში 10 გოლი გაიტანა.

## პალადინო თოფს უმიზნებს

**„იუვენტუსის“** ფორვარდი რაფაელე პალადინო უკმაყოფილოა იმით, რომ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. „უდინეზესთან“ მატჩში კლაუდიო რანიერიმ ფეხბურთელი შეცვლაზე შეუშვა და 20 წუთი აკმარა. იტალიური მედიის ცნობით, შესაძლოა, პალადინო ზაფხულში „არსენალში“ გადავიდეს. 24 წლის თავდამსხმელმა განაცხადა, რომ პრემიერლიგაში სიამოვნებით ითამაშებდა.

## ოლეგერის შუა თითი

**„ბარსელონას“** მცველმა ოლეგერ პრესასმა მარცხენა ხელის შუა თითი მოიტეხა და გუნდს დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში დააკლდება. ფეხბურთელმა „სევილიასთან“ 90 წუთი ითამაშა და მოტეხილი თითის ამბავი ნამატჩევს გაირკვა. ამ მატჩამდე ოლეგერი ფეხის ტრავმას იმუშებდა და ორი თვე გააცდინა, ახლა კი „სელტიკთან“ ჩემპიონთა ლიგის ორივე შეხვედრას გამოტოვებს. „ბარსას“ ტრავმირებული ჰყავს კარლეს პუიოლიც და ჯანლუკა ძამბროტაც.

## ჰუნტელაარი რომასთვის

**კლაას იან ჰუნტელაარის** აგენტმა ვინჩენცო მორაბიტომ დაადასტურა, რომ „რომას“ მისი კლიენტის ყიდვა სურს. „აიაქსის“ ფორვარდის შეძენა „იუვეს“ და „მილანსაც“ უნდოდათ, მაგრამ, მორაბიტოს თქმით, ამ გუნდებს ჰუნტელაარი აღარ აინტერესებთ. „იუვეს“ და „მილანს“ უკვე სხვა გეგმები აქვთ და კლაასის თაობაზე „რომამ“ ოფიციალურად მოგვმართა. რომაელებს თავდამსხმელი 15 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ“ — ბრძანა აგენტმა.

## რობინიო დაიჭიმა

**მადრიდის** „რეალის“ ფორვარდ რობინიოს „ვალიადოლიდთან“ მატჩში კუნთი დაეჭიმა და დაახლოებით ორკვირიანი მკურნალობა მოუწევს. ბრაზილიელი ამ უქმეებზე პრიმერადივიზიონში „ბეტისთან“ მატჩსაც გამოტოვებს და მომავალ კვირაში „რომასთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრასაც. რობინიომ ამ სეზონში 21 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

## კიევს სტადიონი აკლია

**ევროპის** 2012 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ უკრაინას ერთი ახალი სტადიონიღა აკლია, რომელიც კიევში აშენდება. „სტადიონის მშენებლობას წელიწადზე მეტი დრო არ დასჭირდება“ — განაცხადა ქალაქის თავმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ. ამ საკითხის გადაწყვეტას ის აფერხებს, რომ ჯერ ვერ დაადგინეს, კიევის რომელ უბანში უნდა წამოჭიმონ სტადიონი.

## ბელამის მესამედ გაჭრიან

**უელსის** ნაკრებისა და „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელმა კრეიგ ბელამიმ, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშოს — წერს „თაიმსი“. გუშინ მას ერთი ოპერაცია გაუკეთეს მუხლზე და ერთ კვირაში მეორესაც ჩაუტარებენ. ბელამი ოქტომბერში გერმანიის ნაკრებთან მატჩში დაშავდა და პირველად დეკემბერში „გაჭრეს“, მაგრამ მუხლი ვერ მოურჩინეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კვალიაგოლის აზრები




ფაბიო კვალიარელა

**იტალიური** „უდინეზეს“ ფორვარდი ფაბიო კვალიარელა აპენინებზე ახლა ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ თავდამსხმელად ითვლება და ნეაპოლში დაბადებულ-გაზრდილს მრავალი მსურველიც ჰყავს.

„ჩემი სანატრელი კლუბი „ნაპოლია“, რადგან ნეაპოლელი ვარ, მაგრამ „ვეზუვიანისგან“ შემოთავაზება არასოდეს მიმიღია. მქონდა კონტაქტი „მილანთან“, თუმც კონკრეტული არაფერი ყოფილა, მით უმეტეს, „უდინეზეში“ გადმოსვლის მერე. „ინტერი“? ყველა ისურვებდა ზლატან იბრაჰიმოვიჩის გვერდით თამაშს, რადგან იგი ექსტრაორდინარული ფეხბურთელია და ისიც ვიცი, რომ „ნერაძურიმ“ თვალი დამადგა. იტალიური და ესპანური გრანდები მაკვირდებიან, მაგრამ როცა გავიგე, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდოდა ჩემი შეძენა, ძალიან მესიამოვნა, რადგან ინგლისის ჩემპიონატი მომწონს. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ „უდინეზეში“ ბედნიერი ვარ და არსად მეჩქარება. კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი მაქვს და ზაფხულამდე ყოველგვარ ტრანსფერზე ლაპარაკი ნაადრევია“ — თქვა „კვალიაგოლმა“.

„ლა გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტმა კვალიარელას ამპლუების მიხედვით საუკეთესო მოთამაშეების დასახელებაც სთხოვა.

„მეკარედ ულაპარაკოდ ჯანლუიჯი ბუფონს ავირჩევდი. დაცვაში ფაბიო კანავაროს, ალესანდრო ნესტასა და მარკო მატერაცის შორის სერიოზული კონკურენცია იქნებოდა. ნახევარდაცვაში ჩემთვის ანდრეა პირლოზე ძლიერი არავინაა. მას ძალიან ვაფასებ, იგი „სკუადრა აძურას“ ღირსებას ყოველთვის სათანადოდ იცავს. თავდასხმაში ძალიან ბევრი კანდიდატია, კაკასა და ფრანჩესკო ტოტის ჩათვლით. ჩემი კერპები? პურზე და დიეგო მარადონაზე გავიზარდე. ასევე მომწონდა ვინჩენცო მონტელა და ანდრეი შევჩენკო“ — განაცხადა კვალიარელამ.

**გიორგი ქაქაბაძე**



ოტო პფისტერი

# მოუთვინიერებელ ლომთა ერთგული გერმანელი

**კამერუნის** ნაკრების მწვრთნელმა ოტო პფისტერმა განაცხადა, რომ კვლავაც დარჩება „ლომების“ თავკაცად და გუნდს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევში მოამზადებს. 70 წლის გერმანელმა ეგვიპტესთან ფინალში მარცხის (0:1) შემდეგ ნაკრებიდან წასვლა ისურვა, მაგრამ არ გაუშვეს და დარჩენაზე დაიყაბულეს.

„სამკვირიანი შვებულება ავიღე, დავისვენებ და მერე მუშაობას გავაგრძელებ — თქვა პფისტერმა „კიკერთან“ — მომავალ თვეში ამხანაგური მატჩი გვაქვს, მაისის ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება“.

ოტო პფისტერმა კარიერაში ფინალი მეორედ წააგო. 1992-ში აფრიკის ერთვნებათა თასის ფინალში მის ხელქვეით განა კოტ დივუართან დამარცხდა, როცა ტურნირს სენეგალმა უმასპინძლა. „რა ვქნა, ისტორიას ვერ შევცვლი, ცხოვრება გრძელდება და მეც უკეთესი მომავლის იმედით ვარ. ეგვიპტესთან წაგების მერე ფეხბურთელებს დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ ორი-სამი საათის შემდეგ ხასიათზე მოვიდნენ და კიდეც იცინეს“ — თქვა გერმანელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




# საყვარელი ბებერი ქალბატონი

**ტურინის** „იუვენტუსს“ კალჩოპოლის სკანდალის მერე დაახლოებით 1,5 მილიონი ქომაგი დაუკარგავს. მიუხედავად ამისა, „ბებერ ქალბატონს“ 7,03 მილიონი გულშემატკივარი დარჩა და კვლავ საგრძნობლად უსწრებს სხვა გუნდებს. „ბიანკონერი“ დამაჯერებლად ინარჩუნებს იტალიაში ყველაზე საყვარელი კლუბის წოდებას. STAGE UP-ისა და IPSOS-ის ახალი გამოკვლევის შედეგები „გუერინ სპორტივოში“ გამოქვეყნდა.

ბოლო ხანს „მილანს“ ყველაზე დიდი ზრდა ჰქონია და ახლა „როსონერის“ 4,8 მილიონი ფანი ჰყოლია. მიუხედავად ბოლოდროინდელი წარმატებებისა, „ინტერს“ გულშემატკივრები მხოლოდ 14 პროცენტით მომატებია და ახლა 4,3 მილიონი ქომაგი ჰყავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფანები მომატებიათ „ფიორენტინასა“ და „პალერმოს“, ხოლო მოჰკლებიათ „კალიარის“, „რომასა“ და „ლაციოს“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ფული, ფული და ფული

**73,5 მილიონი** დოლარი — აი, თანხა, რომელიც ჯერჯერობით სატრანსფერო რეკორდია. ამდენი გადაუხადა მადრიდის „რეალმა“ ტურინის „იუვენტუსს“ ზინედინ ზიდანში. თუმცა ის დრო წავიდა, ფეხბურთელში მსუყე თანხას რომ იძლეოდნენ და აღარც მეორე ზიდანი გამოჩენილა. გერმანულმა transfermarkt.de-ზე გამოქვეყნდა ხარჯები, რომლებიც ევროპის (და არა მარტო) ლიგებმა გაიმეტეს მოთამაშეების შეძენისთვის 2007-2008 წლების სეზონში. საკვირველი ალბათ არაა, რომ ნუსხის სათავეში ინგლისის პრემიერლიგაა, სადაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფული მდინარესავით მიედინება. რაც აბრამოვიჩმა „ჩელსი“ შეიძინა, პრემიერლიგის არაერთი კლუბი იყიდეს უცხოელმა მილიარდერებმა და მწვრთნელების მოთხოვნით ნაირ-ნაირ ფეხბურთელებში ფული არ დაიშურეს.

ყველაზე მეტი ამ სეზონში მადრიდის „რეალმა“ დახარჯა — 119 მილიონი ევრო, მეორეზე კი „ტოტენჰემმა“ 94,65 მილიონით. მესამე საფეხურზე „მანჩესტერია“ 86,3-ით, რომელსაც „ლივერპული“ მოჰყვება 84,5 ევროთი, ხოლო ხუთეულის ბოლოში მადრიდის „ატლეტიკოა“ 84 მილიონით.

გაყიდვებიდან სხვებზე მეტი შემოსავალი მიიღეს „პორტუმ“ (70,65), „ლიონმა“ (66,95), მადრიდის „ატლეტიკომ“ (52,500), „აიაქსმა“ (51,75) და „არსენალმა“ (51,1).

**ვაჟა ხუციშვილი**



| | | | |
|---|---|---|---|
| 1. პრემიერლიგა (ინგლისი) | 887.325 | 441.790 | -445.535 |
| 2. პრიმერადივიზიონი (ესპანეთი) | 574.250 | 284.640 | -289.610 |
| 3. სერია A (იტალია) | 357.45 | 218.680 | -138.365 |
| 4. ბუნდესლიგა (გერმანია) | 251.510 | 148.705 | -102.805 |
| 5. პირველი დივიზიონი (საფრანგეთი) | 244.450 | 339.385 | 94.935 |
| 6. ჩემპიონლიგა (ინგლისი) | 120.372 | 205.460 | 85.085 |
| 7. ერედივიზიონი (ჰოლანდია) | 103.305 | 164.255 | 60.950 |
| 8. ვისშა ლიგა (უკრაინა) | 85.955 | 58.260 | -27.695 |
| 9. სუპერლიგა (პორტუგალია) | 62.100 | 176.170 | 114.070 |
| 10. სუპერლიგა (საბერძნეთი) | 41.550 | 25.2005 | -16.345 |

*შენიშვნა: პირველ სვეტში მითითებულია ლიგა, მეორეში გადახდილი თანხა შეძენილ მოთამაშეებში, მესამეში — გაყიდული ფეხბურთელებისგან მიღებული შემოსავალი, მეოთხეში კი — ბალანსი.*



ხავიერ კლემენტე და მისი წინამორბედი ებრაჰიმზადე

# კლემენტესთვის ირანი ოდენ ფეხბურთია

**ბასკი ხავიერ კლემენტე უკვე ირანის ნაკრების დამრიგებელია. მრავლისმნახველი სპეციალისტი მისთვის ეგზოტიკურ ქვეყანაში იწყებს მუშაობას. „თუ ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადთან წარმადგენენ, მას იმ პატივით მივესალმები, როგორიც ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს მოეთხოვება“ — თქვა კლემენტემ „ასთან“ საუბარში**

**— ირანულ თავგადასავალს 56 წლისა იწყებთ. ასაკის მიუხედავად, მუშაობის სურვილი არ გაკლიათ...**

— არც ისე ბებერი და დაძაბუნებულში ვარ, როგორც თქვენ ფიქრობთ. მართალია, უკვე ორი შვილიშვილი მყავს, მაგრამ ისევ შესანიშნავ ფორმაში ვარ. რამდენიმე ოპერაციაც გამიკეთეს, ანესთეზიის გამო ძალიან ბევრი მეძინა და დაღლილობა ნაკლებად მაწუხებს.

**— ამ გადაწყვეტილებამდე როგორ მიხვედით, რამ გაგამხნევათ?**

— ეს ადრე უკვე ვთქვი პრესასთან. ირანში წასვლამდე ჩემს შვილებს მოვეთათბირე და ექიმისგან ნებართვა მივიღე, რათა მემუშავა. ამას წინათ ექიმ ალვარეს ირუსტიეტას შევხვდი, ვინც ადრე ზურგის ოპერაცია გამიკეთა და მისგან მუშაობაზე თანხმობა მივიღე. ირუსტიეტამ მითხრა, ხავი, მიდი და ეგ ირანელები მუნდიალზე გაიყვანეო. მეც ვეცდები, ექიმის ნათქვამი შევასრულო.

**— ბილბაოში იცხოვრებთ, თუ ირანში?**

— ჩემს სახლში ვიცხოვრებ ზარაუცში და თეირანში მატჩებამდე ერთი ან ორი კვირით ადრე ჩავალ ხოლმე. როცა ამის საჭიროება იქნება.

**— ანუ ირანის მწვრთნელისთვის თეირანში ცხოვრება აუცილებელი არ არის?**

— ნ. მდვილად არ არის აუცილებელი. მთავარ მატჩებს უშუალოდ დავესწრები და ფეხბურთელებსაც დავაკვირდები. ისე კი, ვიდეოაპარატურა თეირანშიც და ბასკეთშიც ერთნაირად მუშაობს. ბოლოს და ბოლოს, ირანის ნაკრებშიც იგივე ხდება, რაც ესპანეთში — 30 ფეხბურთელი გყავს, რომელთაც უნდა დააკვირდე და მათი ძალები შეაფასო. ეს კი ძალიან რთული არ გახლავთ.

**— ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადთან უკვე წარგადგინეს?**

— ჯერ არ მქონია პატივი მასთან შეხვედრისა, მაგრამ როცა შევხვდები, შესაფერი პატივით მივესალმები, რადგანაც ქვეყნის პრეზიდენტია.

**— ალბათ იცით, რომ აჰმადინეჯადი პოლემიკური პიროვნებაა...**

— პოლიტიკაში არ ვერევი, რუსი, ჩინელი, კომუნისტი, კაპიტალისტი, ზანგი თუ თეთრი სულ არ მაინტერესებს. მე ფეხბურთის მწვრთნელი ვარ და სხვა რამეებს ვერც ვიგებ და არც მინდა, რომ გავიგო. ირანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გავიყვანო, დანარჩენზე სხვებს მიმართეთ.

**— 26 მარტს ქუვეიტის ნაკრების წინააღმდეგ დებიუტი გექნებათ. ფეხბურთელებთან ურთიერთობას როგორ აპირებთ?**

— როგორ და თარჯიმნის საშუალებით. აბა, ასე მოკლე დროში იმათ არაბულს თუ სპარსულს როგორ ვისწავლი... თან იმედი მაქვს, რომ თანაშემწე დახმარების ხელს გამომიწვდის. ისე, ჩემთან ურთიერთობა ადვილია, ძირითადად ფეხბურთელებისგან სირბილს და მოგებას ვითხოვ.

**— გასულ კვირას სირიასთან მატჩში საშუალება გქონდათ, მომავალ შეგირდებს დაკვირვებოდით...**

— ძალიან ტექნიკურები არიან, თუმცა საკმაოდ ნელა დარბიან. ირანელთა ფეხბურთი პასების სიმრავლით და ურთიერთშეთანხმებული ბურთაობით გამოირჩევა. სამუშაო ბევრია, თუმცა რახან ირანი აზიის ჩემპიონი უკვე იყო, მსოფლიოს პირველობაზეც აქვს თავის გამოჩენის შანსი.

**— კი, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ირანი, უფრო ახლო-მახლო გუნდი არ გეგულებოდათ?**

— არა, ვინც დამიძახა, იმასთან წავედი სამუშაოდ. მართალია, ივნისში ჩემთან თანამშრომლობით პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი კლუბი დაინტერესდა, მაგრამ საეჭვო სიტუაცია იყო და გარიგებაზე უარი ვთქვი. ირანთან მიმართებაში კი სიტყვა „საეჭვოს“ ვერაფრით ვახსენებ.

**— გულის სიღრმეში მშურს კიდეც თქვენი. კლემენტეს ამჟამინდელ „ავანტიურას“ რომანტიკული ელფერი დაჰკრავს...**

— ვნახოთ, გუნდს მუნდიალზე თუ მოვახვედრებ. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა. ფეხბურთი ყველგან ფეხბურთია, ირანშიც ისეთივე ემოციით მოვეკიდები ამ საქმეს, როგორც ესპანეთში. მოკლედ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

# ვანს ვანი შეცვლის

„ფეიენოორდის“ მწვრთნელი ბერტ ვან მარვაიკი ჰოლანდიის ნაკრებს სიამოვნებით ჩაიბარებს. „დე ტელეგრაფთან“ იტერვიუში მან განაცხადა, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მარკო ვან ბასტენი ევრო 2008-ის შემდეგ წავა და ფედერაცია მის შემცვლელს ეძებს. ერთ-ერთი კანდიდატი 55 წლის ვან მარვაიკია, რომელიც შარშან ზაფხულს „ფეიენოორდის“ თავკაცი გახდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ თანახმაა, ნაკრების გამო ხელშეკრულება გაწყვიტოს.

„ამ საკითხზე უკვე კარგა ხანია, ვფიქრობ. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ შესაძლოა, სეზონის ბოლოს გუნდიდან წავიდე, რამაც ისინი გაანაწყენა, თუმც სიკეთე მისურვეს. მაგრძნობინეს, რომ ჩემს მხარეს არიან და ეს მახარებს. მინდა, შანსი ხელიდან არ გავუშვა და ეროვნული გუნდის მწვრთნელი გავხდე. რამდენიმე თვის წინაც შემომთავაზეს ნაკრების თავკაცობა, მაგრამ მაშინ მზად არ ვიყავი, ახლა კი ვგრძნობ, რომ შევძლებ“ — განაცხადა ბერტ ვან მარვაიკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნუთუ წავა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბრაზილიაში** ჭორები გავრცელდა — შესაძლოა, მომავალ ზაფხულს რონალდომ კარიერა დაასრულოსო. 31 წლის თავდამსხმელს ფაქტობრივად მთელი მიმდინარე სეზონი გაუცდა. მან სერია A-ს მე-18 ტურში ითამაშა და „ნაპოლის“ ორი გოლი გაუტანა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა. გასულ უქმეებზე „სიენასთან“ მატჩში კი დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ტაიმი ჩაატარა, ისიც უსუსურად და ისევ დაშავდა.

სავარაუდოდ, რონალდო მომავალ უქმეებზე „პარმასთან“ შეხვედრასაც გამოტოვებს და მერე — ლონდონის „არსენალთან“ დაპირისპირებასაც. აღსანიშნავია, რომ მას „მილანის“ სამედიცინო შტაბთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ „როსონერის“ თავდასხმაში ორი ახალი ვარსკვლავი ჰყავს — ალეშანდრე პატო და ალბერტო პალოსკი. რონალდოს კი კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და ტრავმა საბოლოოდ თუ ვერ მოიშუშა, ძნელი სავარაუდოა, „მილანმა“ მას კონტრაქტი გაუხანგრძლივოს.

ამბობენ, „კიჭა“ ამ სიტუაციას ძალიან განიცდის და კარიერის დასრულებაზეც ფიქრობსო. თუმცა მეორე ინფორმაციით, შესაძლოა, ზაფხულში რონი „ფლამენგოში“ ჩაირიცხოს და ფეხბურთიდან წასვლამდე იქ ითამაშოს.

**ჟოჟი ჟანდელაკი**

# ადრიანომ თავი დაკარგა

**ბრაზილიელი** ფორვარდი ადრიანო ისევ სერიოზულ შარშია. „ინტერის“ მიერ „სან პაულუში“ განათხოვრებულმა ფორვარდმა „სანტოსთან“ მატჩში დომინგუშს თავი უთავაზა და სავარაუდოდ ხანგრძლივ დისკვალიფიაციას მიიღებს.

თუ „იმპერატორს“ მხოლოდ ხულიგნობაში დაადანაშაულებენ, სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან, ხოლო თუ სერიოზულ ფიზიკურ აგრესიას დააბრალებენ, 120-დან 540 დღემდე მოუწევს უქმობა.

„არ ვიცი, რა დაინახა მსაჯმა, მაგრამ „სანტოსის“ ფეხბურთელმა ხელი სახეზე შემახო და უბრალოდ ვკითხე, ასე რატომ იქცევი-მეთქი? — განაცხადა „იმპერატორმა“.

„ადრიანო შეცდა. ასეთი რამ არ უნდა გაეკეთებინა, მიუღებელი საქციელი იყო“ — აღნიშნა „სან პაულუს“ მწვრთნელმა მურის რამალიომ.

იანვრიდან მოყოლებული, „იმპერატორმა“ „სან პაულუს“ მაისურით 7 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

**ჟოჟი ჟანდელაკი**



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 61 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 77 | სტივენეიჯი-ფორესტ გრინი | 1.75 | 3.30 | 4.70 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 82 | ქროული-ებსფლითი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 170 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 2.70 | 3.25 | 2.35 | 1.47 | 1.25 | 1.36 |
| 18:30 | 163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.40 | 4.00 | 7.30 | 1.03 | 1.17 | 2.58 |
| 18:30 | 167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:30 | 168 | ჰერტა-არმინია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 18:30 | 169 | ჰანზა-აინტრახტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:30 | 171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 3.25 | 2.15 | 1.55 | 1.25 | 1.29 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4.75 | 3.40 | 1.65 | 1.98 | 1.22 | 1.11 |
| 20:00 | 165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.40 | 3.85 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.48 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 140 | მილანი-ლივორნო | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 210 | ინტერი-ლივორნო | 1.15 | 5.60 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.00 |
| 21:00 | 212 | პარმა-მილანი | 4.75 | 3.20 | 1.70 | 1.91 | 1.25 | 1.11 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 207 | ფიორენტინა-კატანია | 1.35 | 3.90 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.72 |
| 18:00 | 209 | ნაპოლი-ემპოლი | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| 23:30 | 214 | იუვენტუსი-რომა | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 215 | ჯენოა-სამპდორია | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| 18:00 | 216 | სიენა-ტორინო | 2.15 | 2.80 | 3.60 | 1.21 | 1.34 | 1.57 |
| 18:00 | 217 | რეჯინა-უდინეზე | 2.50 | 2.90 | 2.80 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 18:00 | 218 | ლაციო-ატალანტა | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 18:00 | 219 | პალერმო-კალიარი | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 261 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.40 | 3.10 | 2.05 | 1.62 | 1.27 | 1.23 |
| 20:00 | 263 | ლევანტე-ოსასუნა | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 264 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 20:00 | 265 | ვილიარეალი-რასინგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 20:00 | 266 | ალმერია-მურსია | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 268 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 269 | ბეტისი-რეალი | 4.80 | 3.40 | 1.70 | 1.99 | 1.25 | 1.13 |
| 20:00 | 271 | ხეტაფე-ვალენსია | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 20:00 | 272 | უელვა-დეპორტივო | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 273 | ესპანიოლი-სევილია | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 286 | სოშო-კაენი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:10 | 287 | ლე მანი-ლიონი | 4.00 | 3.00 | 1.90 | 1.71 | 1.28 | 1.16 |
| 23:00 | 289 | სტ.ეტიენი-ნანსი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 23:00 | 291 | ლანსი-ნიცა | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 23:00 | 293 | ლილი-რენი | 2.00 | 2.90 | 3.85 | 1.18 | 1.31 | 1.65 |
| 23:00 | 294 | ლორიანი-სტრასბური | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| 23:00 | 295 | ოსერი-ტულუზი | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| 23:00 | 296 | მეცი-ვალენსიენი | 2.70 | 3.00 | 2.50 | 1.42 | 1.29 | 1.36 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 292 | მარსელი-პსჟ | 2.05 | 3.00 | 3.50 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 318 | ოლიმპიკი-ტუბეკე | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:00 | 319 | ტურნაი-ეუპენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 363 | ლარისა-პანიონიოსი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 364 | ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი | 1.10 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 5.00 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 365 | ლევადეიაკოსი-ირაკლისი | 2.40 | 3.00 | 2.75 | 1.33 | 1.28 | 1.43 |
| 17:00 | 366 | ოფი-ვეროია | 1.60 | 3.30 | 5.60 | 1.07 | 1.24 | 2.07 |
| 18:45 | 367 | აეკ-ქსანთი | 1.40 | 3.75 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.55 |
| 18:45 | 368 | კალამარია-პაოკ | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 21:00 | 369 | არისი-ასტერას ტრიპოლისი | 1.70 | 3.25 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.92 |
| 21:00 | 370 | ატრომიტოსი-პანათინაიკოსი | 6.00 | 3.40 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 391 | ამერიკა-მორელია | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 392 | ვერაკრუსი-სან ლუისი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 393 | ტოლუკა-კრუს ასული | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 394 | ხაგუარესი-ნეკასა | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 395 | ჩივასი-სანტოსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 396 | პუებლა-პუმასი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| 23:45 | 397 | პაჩუკა-ტიგრესი | 1.70 | 3.35 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.88 |
| 23:45 | 398 | მონტერეი-ტეკოსი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 399 | ატლანტე-ატლასი | 1.70 | 3.35 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.88 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 419 | ოსორნო-რეინჯერსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 23:45 | 421 | კოლო კოლო-უ.კონსეპსიონი | 1.25 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.14 |
| 23:45 | 424 | უაჩიპატო-ანტოფაგასტა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 425 | უნ.ესპანიოლა-კობრელოა | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| 23:45 | 427 | მორნინგი-პალესტინო | 4.20 | 3.30 | 1.70 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 23:00 | 428 | კობრესალი-ჰიგინსი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 420 | ევერტონი-უნ.ჩილე | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 96 | ზენიტი-ვილიარეალი | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 21:45 | 97 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 22:00 | 100 | აეკ-ხეტაფე | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 23:00 | 101 | ბრანი-ევერტონი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 23:30 | 102 | ვერდერი-ბრაგა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:45 | 104 | ანდერლეხტი -ბორდო | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 23:45 | 107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 98 | აბერდინი-ბაიერნი | 7.00 | 3.60 | 1.45 | 2.37 | 1.20 | 1.03 |
| 23:30 | 111 | ციურიხი-ჰამბურგი | 3.55 | 3.20 | 2.00 | 1.68 | 1.27 | 1.23 |
| 23:45 | 112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 23:45 | 113 | სლავია-ტოტენჰემი | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| 23:45 | 114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 2.75 | 3.10 | 2.35 | 1.45 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 16:30 | 142 | როვერსი-საუთჰემპტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 143 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 144 | ლივერპული-ბარნსლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 21:15 | 146 | მანჩესტერი-არსენალი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 19:00 | 148 | ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 149 | ჩელსი-ჰადერსფილდი | 1.05 | 7.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 5.76 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 145 | პრესტონი-პორტსმუთი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 18:00 | 147 | შეფილდი-მიდლსბრო | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 548 | უსტი-ტრჟინეცი | 3.50 | 4.00 | 1.60 | 1.86 | 1.09 | 1.14 |
| 20:00 | 549 | კლადნო-ლიტვინოვი | 1.90 | 4.00 | 2.65 | 1.28 | 1.10 | 1.59 |
| 20:00 | 550 | პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| 20:00 | 552 | პლზენი-ზლინი | 1.55 | 4.00 | 3.70 | 1.11 | 1.09 | 1.92 |
| 20:00 | 553 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 1.40 | 4.00 | 5.20 | 1.03 | 1.10 | 2.26 |
| 20:00 | 554 | სპარტა-კარლოვი ვარი | 1.65 | 4.00 | 3.30 | 1.16 | 1.10 | 1.80 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 551 | ლიბერეცი-სლავია | 1.90 | 4.00 | 2.60 | 1.28 | 1.09 | 1.57 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 711 | ავანგარდი-ს.იულაევი | 2.30 | 4.30 | 1.80 | 1.49 | 1.00 | 1.26 |
| 18:30 | 712 | ლადა-ტორპედო | 1.35 | 4.30 | 4.10 | 1.02 | 1.01 | 2.09 |
| 17:30 | 713 | ტრაქტორი-სიბირი | 1.40 | 4.20 | 3.70 | 1.04 | 1.01 | 1.96 |
| 20:00 | 714 | აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1.50 | 4.20 | 3.20 | 1.10 | 1.02 | 1.81 |
| 20:00 | 715 | დინამო-მაგნიტოგორსკი | 2.10 | 4.30 | 2.00 | 1.41 | 1.02 | 1.36 |
| 20:00 | 716 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.60 | 4.20 | 2.70 | 1.15 | 1.00 | 1.64 |
| 20:00 | 717 | სევერსტალი-ვიტიაზი | 1.55 | 4.20 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.75 |
| 20:00 | 718 | ხიმიკი-ასკ | 1.85 | 4.30 | 2.30 | 1.29 | 1.02 | 1.49 |
| 20:00 | 719 | მვდ-სპარტაკი მ | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| 20:00 | 720 | ცსკა-ამური | 1.22 | 4.20 | 5.90 | 1.00 | 1.01 | 2.45 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10096 | ზენიტი-ვილიარეალი | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10098 | აბერდინი-ბაიერნი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10100 | აეკ-ხეტაფე | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10101 | ბრანი-ევერტონი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10102 | ვერდერი-ბრაგა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10104 | ანდერლეხტი -ბორდო | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10107 | მარსელი-სპარტაკი მ | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1,45 | 1.31 |
| 10109 | სპორტინგი-ბაზელი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10111 | ციურიხი-ჰამბურგი | 3.95 | 2.00 | 2.20 | 1.32 | 1.41 | 1.04 |
| 10112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10113 | სლავია-ტოტენჰემი | 4.20 | 2.00 | 2.20 | 1.35 | 1.44 | 1.04 |
| 10114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10432 | დანდი იუნ.-სტ მირენი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11096 | ზენიტი-ვილიარეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11098 | აბერდინი-ბაიერნი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11100 | აეკ-ხეტაფე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11101 | ბრანი-ევერტონი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11102 | ვერდერი-ბრაგა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11104 | ანდერლეხტი -ბორდო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11107 | მარსელი-სპარტაკი მ | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11109 | სპორტინგი-ბაზელი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11111 | ციურიხი-ჰამბურგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11113 | სლავია-ტოტენჰემი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11432 | დანდი იუნ.-სტ მირენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18096 | ზენიტი-ვილიარეალი | 2.80 | 1.30 |
| 18097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 2.40 | 1.45 |
| 18098 | აბერდინი-ბაიერნი | 6.00 | 1.05 |
| 18100 | აეკ-ხეტაფე | 2.20 | 1.50 |
| 18101 | ბრანი-ევერტონი | 4.10 | 1.15 |
| 18102 | ვერდერი-ბრაგა | 1.20 | 3.50 |
| 18104 | ანდერლეხტი -ბორდო | 2.50 | 1.40 |
| 18105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.20 | 3.80 |
| 18107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.80 | 1.80 |
| 18108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 1.80 |
| 18109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.30 | 2.80 |
| 18111 | ციურიხი-ჰამბურგი | 3.20 | 1.25 |
| 18112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 3.20 | 1.25 |
| 18113 | სლავია-ტოტენჰემი | 3.30 | 1.25 |
| 18114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 3.20 | 1.25 |
| 18115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.35 | 2.70 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12096 | ზენიტი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12098 | აბერდინი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | აეკ-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 12101 | ბრანი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12102 | ვერდერი-ბრაგა | 2.00 | 1.60 |
| 12104 | ანდერლეხტი -ბორდო | 1.60 | 2.00 |
| 12105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 2.00 | 1.50 |
| 12107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.60 | 2.00 |
| 12108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.80 | 1.80 |
| 12111 | ციურიხი-ჰამბურგი | 1.80 | 1.80 |
| 12112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12113 | სლავია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.90 | 1.60 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13096 | ზენიტი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13098 | აბერდინი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 13100 | აეკ-ხეტაფე | 1.80 | 1.80 |
| 13101 | ბრანი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13102 | ვერდერი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 13104 | ანდერლეხტი -ბორდო | 1.80 | 1.80 |
| 13105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.80 | 1.80 |
| 13107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.90 | 1.70 |
| 13108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 1.80 |
| 13109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13111 | ციურიხი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13113 | სლავია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14096 | ზენიტი-ვილიარეალი | 2.00 | 1.80 |
| 14097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 1.80 | 2.00 |
| 14098 | აბერდინი-ბაიერნი | 2.60 | 1.20 |
| 14100 | აეკ-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 14101 | ბრანი-ევერტონი | 2.40 | 1.45 |
| 14102 | ვერდერი-ბრაგა | 1.20 | 2.60 |
| 14104 | ანდერლეხტი -ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 14105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.20 | 2.60 |
| 14107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.65 | 2.30 |
| 14108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.70 | 2.20 |
| 14109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.30 | 2.50 |
| 14111 | ციურიხი-ჰამბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 2.10 | 1.75 |
| 14113 | სლავია-ტოტენჰემი | 2.20 | 1.70 |
| 14114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 2.00 | 1.80 |
| 14115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.45 | 2.40 |
| 14150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.20 | 2.60 |
| 14432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.45 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15096 | ზენიტი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | აბერდინი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | აეკ-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ბრანი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ვერდერი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ანდერლეხტი -ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | მარსელი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | სპორტინგი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | ციურიხი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | სლავია-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15432 | დანდი იუნ.-სტ მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16096 | ზენიტი-ვილიარეალი | 1.95 | 1.70 |
| 16097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 1.62 | 2.05 |
| 16098 | აბერდინი-ბაიერნი | 4.20 | 1.15 |
| 16100 | აეკ-ხეტაფე | 1.70 | 1.95 |
| 16101 | ბრანი-ევერტონი | 3.30 | 1.25 |
| 16102 | ვერდერი-ბრაგა | 1.11 | 5.70 |
| 16104 | ანდერლეხტი -ბორდო | 1.80 | 1.85 |
| 16105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.10 | 5.50 |
| 16107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.30 | 3.00 |
| 16108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.38 | 2.65 |
| 16109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.22 | 3.40 |
| 16111 | ციურიხი-ჰამბურგი | 2.40 | 1.45 |
| 16112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 2.20 | 1.50 |
| 16113 | სლავია-ტოტენჰემი | 2.45 | 1.40 |
| 16114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 1.95 | 1.65 |
| 16115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.23 | 3.60 |
| 16150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.12 | 4.60 |
| 16432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.24 | 3.60 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17096 | ზენიტი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | აბერდინი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | აეკ-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბრანი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ვერდერი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ანდერლეხტი -ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ციურიხი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17113 | სლავია-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.85 | 1.95 |
| 17432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.85 | 1.95 |

ჭიდაობა

# ლაზარეს მესამე, ლუკას მერვე

**ჩვენმა** თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც იაშირ დოგუს სახელობისაა და „ოქროს დიდი პრიზის“ მეორე ეტაპიც გახლავთ. ქართველებმა მეზობელ თურქეთში ნაკრების მეორე და მესამე ნომრები წაიყვანეს — ისინი, რომლებმაც ახლახან ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში ვერ იპირველეს.

ნაკრების მონაგარი სულ ერთი ბრინჯაოა: მესამე ადგილი მძიმეწონოსანმა ლაზარე მარსაგიშვილმა დაისაკუთრა. ბრინჯაოსთვის მან მასპინძელთა ფალავან ფათიჰ კაკიროღლუს აჯობა.

სათქმელია, რომ ტურნირში მონაწილეობა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემაც მიიღო, ვინც საქართველოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. კურტანიძე მხოლოდ მე-8 ადგილს დასჯერდა.

ნაკრების პირველი ნომრები კი მოსამზადებელ შეკრებაზე სომხეთში წახნაძორში იმყოფებიან. მათთან ერთადაა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებიც. თავისუფალებს შეკრება 15-ში, ხოლო ანტიკოსებს 23-ში უმთავრდებათ. თავის ბოლოს კი, 26-29 თებერვალს, ორივე ნაკრებს უნგრეთში გასამართი მსოფლიოს თასი ელის.

**ლექსო მაისურაძე**

ძიუდო

# საჩოთირო მომავალი

## მოითმინეთ, ყველაფერი წინაა

**საფრანგეთის** სუპერთასზე გამოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრები პარიზში ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობის მისაღებად დარჩა. მოგეხსენებათ, შოთა ხაბარელის შეგირდებმა პარიზში ოდენ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, მაგრამ ამის მიუხედავადაც ტურნირზე გამოსვლა ნაკრების ხელმძღვანელობამ დადებითად შეაფასა. გიორგი ბაინდურაშვილმა ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად გვარიანი ნაბიჯი გადადგა. ახლა მხოლოდ თეორიული შანსიღა არსებობს იმისა, რომ 81 კგ წონით კატეგორიაში პეკინის საგზური ვერ მივიღოთ.

პარიზულ ტატამზე უნდა გამოსულიყო ზაზა კედელაშვილი მისთვის უჩვეულო, 73 კგ წონით კატეგორიაში. ეს ამბავი თბილისშივე იყო ცნობილი, მაგრამ ბოლოს შოთა ხაბარელი მოერიდა ევროპის ჩემპიონის ზედმეტად დატვირთვას და ზაზაც ამიტომ აღარ გამოჩნდა საქმეში.

ნაკრების ხელმძღვანელობამ და ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურმა განვიცხადა, რომ იმ კითხვებზე რომლებიც ყველა ქართველ ძიუდოს ქომაგს აინტერესებს, ამჟამად პასუხები ნაადრევი იქნება და ყველაფერი მომავალ სალიცენზიო ტურნირებზე გადაწყდება. ამ კითხვებს შორის უმთავრესი და ყველაზე დამაინტრიგებელია: ოლიმპიადაზე ზურაბ ზვიადაური წავა თუ ირაკლი ცირეკიძე? ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

და კიდევ: გიორგი ბაინდურაშვილს პარიზული წარმატების მიუხედავადაც არ აქვს გარანტირებული 81 კილოგრამში სანაკრებო ადგილი.

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებში უდიდესი კონკურენციაა, მაგრამ ყველაზე საჩოთირო მაინც ზვიადაურისა და ცირეკიძის საკითხია. მით უმეტეს, რომ თბილისის ტურნირმა მათი საქმის გადაწყვეტაში ბევრი კითხვა გააჩინა.

**ზურაბ მიგრიაული**

სროლა

# ევროპამდე მიუნხენი იქნება



**დღეს** საქართველოს მსროლელთა ნაკრები გერმანიის ქალაქ მიუნხენში ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრებაზე მიემგზავრება, უშუალოდ მზადებას კი ავსტრიის საზღვართან მდებარე ქალაქ უნტესპუსენში გაივლის.

ევროპირველობაზე სამი ქართველი გამოვა — ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე და ლევან ქადაგიძე.

შეიძლებოდა, რომ გერმანიაში ქალთა ნაკრები სრული შემადგენლობითაც წასულიყო, თუმც აქ ის შედეგები იქნა გათვალისწინებული, რომელიც მსროლელებმა საქართველოს თასის ფინალში აჩვენეს.

სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ნინო სალუქვაძეს გარკვეული ცენზი ჰქონდა დაწესებული, რომლის გადალახვის შემთხვევაში მსროლელს საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის საშუალება მიეცემოდა.

მოსამზადებელი ეტაპის მერე ქართველები პირდაპირ შვეიცარიულ ციურიხში გადაინაცვლებენ, სადაც 24 თებერვლიდან 2 მარტამდე ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

**ლექსო მაისურაძე**

კალათბურთი




# ოლსტარული ლოგიკა

## ორი პასი 30 ქულას ჯობია

*თუ საუკეთესო არა, გიორგი ცინცაძე დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი ლეგიონერია. ის ესტონურ „როკში“ კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს და ათიოდ დღის წინ ბალტიის ლიგის ოლ სტარშიც ითამაშა უცხოელი ვარსკვლავების გუნდის ხუთეულში. ბალტიის ლიგა კი ხუმრობა არ გეგონოთ. ესაა ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის საუკეთესო გუნდების გაერთიანებული ჩემპიონატი, რომელშიც ევროპის უმაღლესი დონის ორი („ჟალგირისი“ და „ლიეტუვოს რიტასი“) და ბლომად საშუალო კლუბი თამაშობს. ცინცაძე „როკის“ ლიდერია და მოედანზე ყველაზე მეტ ხანს უწევს ყოფნა. გუშინ მას ტარტუში შევეხმიანეთ და თავდაპირველად ოლ სტარზე დავეკითხეთ...*

**— წარმატებული სეზონი გაქვს და ალბათ, მოულოდნელი არ ყოფილა, ოლ სტარში რომ ითამაშე...**

— კარიერის საუკეთესო სეზონს კი ვატარებ და „როკის“ წამყვან მოთამაშედაც ვითვლები, მაგრამ ოლ სტარის ხუთეულში თუ მოვხვდებოდი, ნამდვილად არ მეგონა. გამოკითხვა რომ დაიწყო, შედარებით პესიმისტურად ვიყავი განწყობილი, ხოლო დრო რომ გავიდა და გულშემატკივრებისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი, იმედი მომეცა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, როცა ქომაგთა რჩეული ხდები. მე ყველა ვარსკვლავის მატჩში ხალხმა ამირჩია და ეს ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა.

**— ხალხის გარეშეც მოხდა შერჩევა?**

— გულშემატკივრებმა ხუთეულები გამოკითხვის შედეგად შეარჩიეს, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა დაასახელეს. პროცედურა ზუსტად ისეთია, როგორც ნბა-ში. შარშანდელ ოლ სტარშიც ამიტომ არ ვითამაშე. ხუთეულში გამსვლელი ადგილის დაკავებამდე ერთი საფეხური დამაკლდა და მწვრთნელმა აღარ ამიყვანა ლეგიონერი ვარსკვლავების გუნდში. არადა, მაშინ სათადარიგოებად ოლ სტარის გამოკითხვაში ჩემზე გაცილებით უკან მყოფმა მოთამაშეებმა ითამაშეს. თუმცა არაფერია, წლეულს უკვე პირდაპირ ხუთეულში ამჩრჩია გულშემატკივარმა.

**— უშუალოდ მატჩში შედარებით მოკრძალებული იყავი. შეხვედრა 154:136 მოიგეთ და შენ მხოლოდ 8 ქულას დასჯერდი...**

— მოგეხსენებათ, ოლ სტარს თავისი პრინციპები აქვს. იქ მთავარი მოხვედრა და მოედანზე გასვლაა და მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ქულას ჩააგდებ. თუმცა არიან კალათბურთელები, რომლებიც ბურთების ჩაგდებას ეშურებიან, თუმცა ეს ჩემი სტილი არაა.

ეს არის გასართობი მატჩი, რომელშიც უნდა ისიამოვნო. მთელი სეზონი მობილიზებული ხარ, ყოველ მატჩში თითოეულ ბურთს დაჰკანკალებ, ოლ სტარში კი ყოველანაირი პასუხისმგებლობისგან თავისუფალი ხარ და ესაა ყველაზე დიდი სიამოვნება.

რა თქმა უნდა, შემეძლო, თავი გამეგიჟებინა და ალბათ, 30 ქულასაც დავაგროვებდი, მაგრამ წყნარი და ლამაზი თამაში ვარჩიე, რასაც არ ვნანობ. მე იმ ორმა ულამაზესმა პასმა, რომელიც თანაგუნდელებს მივეცი, უფრო დიდი სიამოვნება მომგვარა, ვიდრე, ვთქვათ, 30 ქულა რომ გამეკეთებინა.

**— ახლა ოფიციალურ მატჩებზეც გადავიდეთ, რომლებშიც ძალიან კარგად თამაშობ. რას ფიქრობ, პროგრესს რის ხარჯზე მიაღწიე?**

— ესტონეთში მეორე სეზონს ვატარებ და აქაურობას შევეჩვიე. ყველაფერი მაინც გამოცდილებას მოაქვს. შარშან შედარებით უცხო გარემოში ვიყავი და თან ფიზიკურადაც მიჭირდა. ხანგრძლივმა რეჟიმმა და სათამაშო დროის გაზრდამ შედეგი გამოიღო. ახლა ვიცი, რომ გუნდს ვჭირდები და ეს დამატებით სტიმულს მაძლევს. მწვრთნელიც ბოლომდე მენდობა. მოედანზე ყველაფრის უფლება მაქვს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. არავინ მეტყვის, არ ესროლოო, პასზე ხომ ლაპარაკიც არაა, არასდროს ვაგვიანებ.

**— ამ ერთ წელიწადში თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესე...**

— რა თქმა უნდა, კლასი ამიმაღლდა. გამოცდილება თავისას აკეთებს. როცა ჩემზე ახალგაზრდის წინააღმდეგ მიწევს თამაში, აშკარად ვგრძნობ, რომ ის აღარ ვარ, რაც ერთი-ორი წლის წინ ვიყავი — თავდაჯერება მომემატა და ყველაფერი მიადვილდება.

**— რის დახვეწას ისურვებდი?**

— შორიდან სროლის გამოსწორება მჭირდება, თუმცა რომ ვთქვა, მიზანი არ მაქვს-მეთქი, არ იქნება მართალი. ბოლო მატჩში 8-დან 6 სამქულიანი ჩავაგდე, მაგრამ სტაბილურობა მაკლია. ხანდახან ისეთი ბურთი ამოვარდება ხოლმე კალათიდან, ჩაგდებული რომ მგონია.

**— სეზონის დასრულებამდე ჯერ კარგა ხანია, თუმცა სამომავლო გეგმებზეც უნდა დაგეკითხო...**

— ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია, მაგრამ ვიცი, რომ სეზონის ბოლოს მექნება შემოთავაზებები. ჯერ საკმაოდ ადრეა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი მიმთავრდება. თავად „როკის“ ხელმძღვანელობასაც არაფერი უთქვამს დარჩენასთან დაკავშირებით.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გასოლის გასროლა



პაუ გასოლი 5 ლეიკერსულ თამაშში საშუალოდ 20,8 ქულასა და 8,2 მოხსნას აგროვებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ გადასარევად შეეწყო ესპანელი მეფარე პაუ გასოლი. ამ გუნდში მისი მისვლის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ სიტყვა „ჩემპიონობას“. რეალურად გუნდის ლიდერი ისევ ბრაიანტია და მან ზედიზედ მესამედ გააკეთა 30 და მეტი ქულა, მისმა გუნდმაც სამივე მოიგო. მაგრამ გასოლის მისვლასთან ერთად „ლეიკერსს“ ცხოვრება რომ გაუიოლდა, ესეც თვალსაჩინოა. მოკლედ ისედაც ტრადიციულად ძლიერ დასავლეთ კონფერენციას კიდევ ერთი მძლავრი გუნდი მიემატა.

გასოლის „ლეიკერსში“ გადასვლას გამოეხმაურა მოქმედი ჩემპიონის, „სან ანტონიოს“ თავკაცი გრეგ პოპოვიჩიც, აქაოდა ჩვენს ლიგაში ასეთი უსამართლო გაცვლები როგორმე უნდა ავკრძალოთო („ლეიკერსს“ ესპანელი ჩალის ფასად დაუჯდა).

მოიგო პოპოვიჩის გუნდმაც — „სან ანტონიოს“ რამდენიმე კვირაა დამტვრეული ჰყავს ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი და მის პოზიციაზე ხან უხეირო ჟაკ ვონს ათამაშებს და ხანაც გადაბერებულ დეიმონ სტუდემაიერს, მაგრამ გამარჯვებებს მაინც იმ დოზით აგროვებს, რომ ლიდერებში ადგილს ინარჩუნებს. „ტორონტოსთან“ გასვლით შეხვედრაში ჩემპიონებს ულიდერა არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ, ვინაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა — 34 ქულასთან ერთად კარიერაში სარეკორდო, 15 მოხსნა გაახერხა. მერე თითქოს იბოდიშებდა, მე მუდამ ამ შემართებით ვთამაშობ, მაგრამ ყოველთვის ასე წარმატებით ვერაო.

ამოყვინთა „სან ანტონიოს“ თანაშტატელმა „ჰიუსტონმაც“. „რაკეტებმა“ შინა პრობლემებსაც აჯობეს და მერე გარე მეტოქეებს მიხედეს — გადაიტანეს იაო მინის ტრავმები, გადააქვთ ტრეისი მაკგრეიდის „ცუდი აურა“ და დაბრუნდნენ საპლეიოფოდ გამზადებული გუნდების კოლონაში, სადაც ისეთი სიმჭიდროვეა, დედა ვერ დაიხრება მტირალა შვილის ასაყვანად.

ორშაბათს „ჰიუსტონმა“ მიყოლებით მეშვიდე თამაში მოიგო, რაც 2005 წლის შემდეგ არ გაუკეთებია. კვლავ ვერ ივარგა მაკგრეიდიმ, ვინც ამ მოგებულ თამაშებში საშუალოდ 18 ქულას აკოწიწებს და ეს დაახლოებით 10 ქულით ნაკლებია მის რეალურ შესაძლებლობებზე. მაგრამ გუნდს ეს არ ეტყობა, რაკი ახალმა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა „რაკეტები“ გარკვეულ სქემაში ჩასვა და ერთად თამაშს მიაჩვია.

სხვაფრივ, ორშაბათს თავგამოჩენილთაგან უსათუოდ სახსენებელნი არიან გოლდენსტეიტელი სტივ ჯეკსონი და კლივლენდელი ლარი ჰიუზი, რაკილა ორივემ 40 და მეტი ქულა გაშანსა. ჯეკსონი და მისი „გოლდენ სტეიტი“ სამი მეოთხედის განმავლობაში აგებდნენ „ვაშინგტონთან“, ვისაც თითქმის მთელი სეზონი აკლია ლიდერი ჯილბერტ არენასი და დაემტვრა მის არყოფნაში მოლიდერე კერონ ბატლერიც. თუმც ამ დროს სხვებმა გამოიდეს თავი, განსაკუთრებით ვინმე როჯერ მეისონმა, ვინც 32 ქულა და 6 პასი გააკეთა და დედაქალაქელებიც ბოლო მეოთხედს 11-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ, მაგრამ ჯეკსონმა და სხვა მისიანებმა იმდენი ქნეს, ბოლო წუთებზე წაჰგლიჯეს გამარჯვება.

**კოტე ყორშია**

11 თებერვალი

**ჰიუსტონი 95:83 პორტლენდი**
**ჰიუსტონი:** მინი (25), ალსტონი (17), მაკგრეიდი (12)
**პორტლენდი:** ოლდრიჯი (22), როი (15)

**გ. სტეიტი 120:117 ვაშინგტონი**
**გოლდენ სტეიტი:** ჯეკსონი (41), ელისი (22), ჰარინგტონი (21), დევისი (19)
**ვაშინგტონი:** მეისონი (32), ჯემისონი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჰეივუდი (20 ქულა, 10 მოხსნა), სტივენსონი (18)

**ტორონტო 88:93 სან ანტონიო**
**ტორონტო:** კალდერონი (27)
**სან ანტონიო:** ჯინობილი (34 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), დანკანი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**შარლოტი 97:106 ლეიკერსი**
**შარლოტი:** ფელტონი (29), მუჰამედი (22 ქულა, 11 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31), გასოლი (26)

**ორლანდო 111:118 კლივლენდი**
**ორლანდო:** თურქოღლუ (25), ნელსონი (22), ჰოვარდი (16), ლუისი (15)
**კლივლენდი:** ჰიუზი (40), ჯეიმსი (29 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**ფილადელფია 84:76 დალასი**
**ფილადელფია:** მილერი (21 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), იგუდალა (14)
**დალასი:** ჰოვარდი (17), ნოვიცკი (15)

**მილუოკი 89:96 კლიპერსი**
**მილუოკი:** უილიამსი (31), მეისონი (14)
**კლიპერსი:** თორნტონი (25), კასელი (21), მაგეტი (20)

| ალმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 39 | 9 | 81,3 |
| ტორონტო | 27 | 23 | 54,0 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 29 | 43,1 |
| ფილადელფია | 22 | 30 | 42,3 |
| ნიუ იორკი | 15 | 36 | 29,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 37 | 13 | 74,0 |
| კლივლენდი | 29 | 22 | 56,9 |
| ინდიანა | 21 | 30 | 41,2 |
| ჩიკაგო | 20 | 30 | 40,0 |
| მილუოკი | 19 | 33 | 36,5 |
| **სამხრეთ-ალმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 32 | 21 | 60,4 |
| ვაშინგტონი | 24 | 27 | 47,1 |
| ატლანტა | 21 | 26 | 44,7 |
| შარლოტი | 18 | 34 | 36,4 |
| მაიამი | 9 | 40 | 18,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 34 | 15 | 69,4 |
| დალასი | 34 | 17 | 66,7 |
| სან ანტონიო | 33 | 17 | 66,0 |
| ჰიუსტონი | 31 | 20 | 60,8 |
| მემფისი | 13 | 37 | 26,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 33 | 19 | 63,5 |
| პორტლენდი | 31 | 19 | 62,0 |
| დენვერი | 28 | 23 | 54,9 |
| სიეტლი | 13 | 37 | 26,0 |
| მინესოტა | 10 | 39 | 20,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 36 | 15 | 70,6 |
| ლეიკერსი | 34 | 17 | 66,7 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 20 | 60,8 |
| საკრამენტო | 23 | 26 | 46,9 |
| კლიპერსი | 17 | 32 | 34,7 |

## ლიგის ლიდერები



დენვერელი მარკუს კემბი ლიგას მოხსნებში და დაფარებებში ლიდერობს

| ქულები | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 30,1 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 28,0 |
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 26,8 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 26,2 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 24,1 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი) | 23,4 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 23,1 |
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 22,6 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 22,4 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 22,2 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 22,1 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 21,7 |
| კორი მაგეტი (კლიპერსი) | 21,7 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 21,7 |
| ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 21,6 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 21,4 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 21,4 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 21,4 |
| ჯერალდ ვოლესი (შარლოტი) | 21,2 |
| სტივენ ჯეკსონი (გოლდენ სტეიტი) | 21,0 |

| მოხსნები | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენვერი) | 14,5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 14,4 |
| კრის კამანი (კლიპერსი) | 13,6 |
| ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 12,3 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 12,2 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 11,4 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 10,9 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 10,8 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 10,7 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 10,4 |

| პასები | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 11,7 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 10,9 |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 10,4 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 9,7 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 8,8 |
| ჯამაალ ტინსლი (ინდიანა) | 8,4 |
| ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 8,0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 7,2 |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 7,1 |

| ჩაჭრები | |
|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 2,6 |
| ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 2,5 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 2,4 |
| ჯერალდ ვოლესი (შარლოტი) | 2,2 |
| ანდრე იუგადალა (ფილადელფია) | 2,2 |
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 2,2 |

| დაფარებები | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენვერი) | 3,8 |
| ჯოშ სმიტი (ატლანტა) | 3,3 |
| კრის კამანი (კლიპერსი) | 3,0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 2,4 |
| სამუელ დალემბერტი (ფილადელფია) | 2,4 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 2,4 |

| დაკარგვები | |
|---|---|
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4,5 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 3,8 |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 3,6 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 3,5 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 3,5 |

| თამაშიდან ჩაგდების % | |
|---|---|
| ენდრიუ ბინამი (ლეიკერსი) | 63,6 |
| ანდრის ბიენდრინსი (გ. სტეიტი) | 62,2 |
| ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 60,7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 60,1 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 58,7 |

| საჯარიმოების ჩაგდების % | |
|---|---|
| ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 92,4 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 92,1 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 91,5 |
| კერონ ბატლერი (ვაშინტონი) | 91,3 |
| სემ კასელი (კლიპერსი) | 90,6 |

# კვირის მოთამაშეები

## ალმოსავლეთი
**ანდრე მილერი (ფილადელფია)**

## დასავლეთი
**ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)**



სანამ რეგულარული ჩემპიონატი დაიწყებოდა, მიმომხილველებმა „ფილადელფია სიქსერზი“ აუტსაიდერობისთვის გაწირეს და თითქოს მართლებიც აღმოჩნდნენ — გუნდმა სეზონი უხეიროდ დაიწყო, მაგრამ მერე ისე უხშირა გამარჯვებებს, რომ სუსტ ალმოსავლეთში მე-9 ადგილამდე ამოიწია, აქედან კი პლეი ოფის კონტურებიც კი იკვეთება. ეს გუნდი ალენ აივერსონთან ლიდერობით ვერ ხვდებოდა კონფერენციაში 8 საუკეთესოს შორის და მის გარეშე რომ მოხვდეს, ნამდვილი სასწაული იქნება.

„ფილადელფიას“ ზედიზედ 4 შეხვედრა აქვს მოგებული. წინა კვირაში ოთხიდან სამში გაიმარჯვა, მისი გამთამაშებელი ანდრე მილერი კი ალმოსავლეთში კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამ ოთხ თამაშში ის საშუალოდ 19,5 ქულას, 9 პასს და 4,5 მოხსნას აკეთებდა, „ვაშინგტონთან“ სამშაბათს 14 პასიც კი გაახერხა.

დასავლეთის რჩეულად კი „ფინიქსის“ 208-სანტიმეტრიანი ცენტრი ამარე სტუდემაიერი დასახელდა, ვინც თავის გუნდს ასევე ოთხი თამაშიდან სამის მოგებაში დაეხმარა. მისი სტატისტიკური მაჩვენებლებია 28,5 ქულა, 13,5 მოხსნა და 3,3 დაფარება.



კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): დერონ უილიამსი (იუტა), ანდრე მილერი (ფილადელფია), პეჯა სტოიაკოვიჩი (ნიუ ორლეანი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)



23 წლის დავით კაჭარავამ საქართველოს ნაკრებში ადგილი გასულ მსოფლიოს თასზე დაიკავა და ახლა ჩვენი „ლელოების" უკანა ხაზი ამ ფეხმარდი მბოჭავი შუამარბის გარეშე წარმოუდგენელიცაა. „კაჭი", როგორც მას შინაურულად ეძახიან, ახლა ისევ სანაკრებო შეკრებაზეა, რადგან 23 თებერვალს ჩვენს „ლელოებს" უკვე სტუმრად უწევთ პორტუგალიასთან თამაში. ისიც გეხსომებათ, რომ პორტუგალიელებთან საშინაო მატჩში პირველი ლელო სწორედ მან დადო.
დავით კაჭარავას გუშინ შევეხმიანეთ და ეს ინტერვიუ ჩავწერეთ

# ხალისიანად და სწრაფად

## დავით კაჭარავა საფრანგეთს უარყოფს და ინგლისისკენ იყურება

— სეზონი კარგად დაიწყეთ. პრინციპულ მეტოქეებს, პორტუგალიას და რუმინეთს, ულაპარაკოდ მოუგეთ. ელოდი, რომ ასე იოლად გაიმარჯვებდით?

— არა, პირიქით, ვშიშობდი კიდეც, რომ შეიძლებოდა, ფეხი დაგვცდენოდა. პორტუგალიასთან მატჩამდე სულ რაღაც სამი დღით ადრე შევიკრიბეთ. გათოვდა და სავარჯიშო პირობებიც არ გვქონდა, თანაც საეჭვო იყო, ახალი მწვრთნელის მითითებები სამდღიანი ვარჯიშით აგვეთვისებინა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა. რუმინეთთან მატჩისას კი მეტი დრო გვქონდა და რამდენიმე კომბინაცია დავამუშავეთ. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ხელდახელ გაშლილად ვითამაშეთ.

— ტიმ ლეინს შემტევი რაგბი უყვარს...

— დიახ და თან, რაც შეიძლება ხშირად კომბინაციურ, ხელდახელ, გაშლილ თამაშს ითხოვს. მატჩის წინ დავალება გვეძლევა, როგორც კი მეტოქის ნახევარზე გადავალთ, უკანა ხაზით ვითამაშოთ და მოედნის მთელი სიგანე ავითვისოთ.

— სიახლეების ათვისება ძალიან გაგიჭირდათ?

— არა, უბრალოდ, ყველაფრისთვის დრო არ გვეყო, თუმც მთელი სეზონი წინ გვაქვს და ყველაფერი დალაგდება. თანაც ტიმ ლეინი განსაკუთრებულს არაფერს ითხოვს. რასაც გვეუბნება, ჩვენთვის ნაცნობი კომბინაციებია. ლეინმა უფრო ტაქტიკური ცვლილებები შემოიტანა, გვავალებს, ვითარების მიხედვით კონკრეტულ მომენტში ესა თუ ის კომბინაცია გავითამაშოთ.

— ხელდახელ თამაში ძირითადად ათ ნომერზეა დამოკიდებული. რუმინეთთან ამ პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა ლაშა მალაღურაძემ და ლეინმა ძალიან აქო. თვლი, რომ ნაკრებში ათი ნომრის პოზიცია პრობლემა აღარ არის?

— ლაშამ მართლაც კარგად ითამაშა. ძალიან თავდაჯერებულია, მტკიცე ხასიათი აქვს და პასიც კარგი იცის. თანაც მალაღურაძესთან ერთად მიადვილდება თამაში, მოედანზე ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. ბავშვობის ძმაკაცები ვართ, ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე და ევროპის ჩემპიონატზეც ერთად ვიყავით.

— ათ დღეში პორტუგალიასთან სტუმრად გიწევთ თამაში. ახალ სეზონში ეს თქვენი პირველი საგარეო მატჩი იქნება, ტიმ ლეინი ტაქტიკას ამის მიხედვითაც შეცვლის?

— არა, რაც შინ პორტუგალიასთან და რუმინეთთან ვითამაშეთ, იგივეს გავაკეთებთ, თუმც ჩვენი თამაშის ხარისხი ალბათ უკეთესი იქნება, რადგან უკვე ორი კვირაა ერთად ვართ და ყოველდღე ვვარჯიშობთ. თანაც ლეინი ძალიან კომუნიკაბელური ადამიანია, თუ რამე შეგვეშლება, არ ბრაზდება, გვამხნევებს და თავიდან გვიხსნის. მე მწვრთნელი ვარ და დისტანცია უნდა დავიჭიროო, ეს ლეინს არ ახასიათებს. ასეთი ურთიერთობით უფრო ხალისით ვვარჯიშობთ და სიახლეებს სწრაფად ვითვისებთ.

— ერთსაც გკითხავ. მსოფლიოს თასის შემდეგ მშობლიურ კლუბში, „ყოჩებში" ჩაამთავრე სეზონი. წლეულსაც „ყოჩებში" დარჩები, თუ საფრანგეთში წახვალ?

— ზაფხულამდე „ყოჩებში" ვითამაშებ, მერე კი, სატრანსფერო ფანჯრისას, ალბათ უცხოურ კლუბში გადავალ, ოღონდ საფრანგეთში წასვლა არ მინდა. ჯერ ერთი, არ მომწონს იქაურობა, ვერაფრით შევეწყვე ამ ქვეყანას, თანაც ბრიტანული რაგბი მიყვარს და ინგლისში ან ირლანდიაში მინდა კარიერის გაგრძელება. ამ ორ ქვეყანაში ძლიერი სარაგბო ლიგებია და მინდა, ჩემი თავი იქ გამოვცადო.

**ბაჩო სვანიძე**

# მიგრაცია გრძელდება

## ბოთას სარფიანი საფრანგეთი

**გასულ** მსოფლიოს თასზე ერთ-ერთ საუკეთესო მორკინალად აღიარებული სამხრეთაფრიკელი ბაქის ბოთა, სავარაუდოდ, გია ლაბაძის „ტულონს" შეუერთდება. ამჟამად ბოთა „ბლუ ბულზის" რიგებში ირიცხება, მაგრამ, როგორც ბევრ მის თანამემამულეს, გული ევროპისკენ მიუწევს. არადა, სამხრეთაფრიკელები ნაკრებში ლეგიონერებს არ სწყალობენ და ამ ტრანსფერის გამო მთასავით მორკინალმა შეიძლება, „ქურციკების" რიგებში ველარ ირაგბოს.

ამასობაში „ტულონი", თუ ბოთას გადაიბირებს, მეშვიდე სამხრეთაფრიკელით გამდიდრდება. როგორც მოგეხსენებათ, ბოლო დროს არაერთმა ვარსკვლავმოთამაშემ დატოვა ფულის გამო სამხრეთ ნახევარსფერო და ბებერ კონტინენტს მიაშურა. ბოთასაც 350 ათას ევროს სთავაზობენ წელიწადში და ყველა თანამედროვე მორაგბეს გაუჭირდებოდა ასეთ სარფიან წინადადებაზე უარის თქმა.

**ზურაბ მიგრიაული**

## თვალ თვალი




საქართველოს რაგბის კავშირში, სადაც ახლა ჩარჩოში საგულდაგულოდ ჩასმული ეს განცხადება კიდია, ადრე ინგლისის ნაკრების მაისურა იყო გამოფენილი. დავაკონკრეტოდ: 2003 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენს რაგბის კავშირს თასზე მონაწილე დანარჩენმა 19-მა ნაკრებმა თავიანთი მორაგბეების ხელმოწერილი მაისურები უსახსოვრეს.

ეტყობა, მავანმა ტვინხელმრუდმა მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონის ინგლისის ნაკრების მაისურა ამოილო მიზანში და... ყველასგან შეუმჩნევლად დღისით-მზისით გააქრო. ეს განცხადება კი ახლა სამხრეთ აფრიკის და საქართველოს ნაკრებთა მაისურებს შორის კიდია და ძალიან საცოდავი სანახავია.

## თქვენი ინტერვიუ

## ტიმ ლეინთან

**საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

*რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 16 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი მომდევნო კვირაში გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com



# გლოკმა ფერარი გახლიჩა



**ბაჰრეინში,** „საჰირის“ ავტოდრომზე ექვსდღიანი წინასასეზონო ტესტები დასრულდა, რომელშიც „ფერარისა“ და „ტოიოტას“ გუნდები მონაწილეობდნენ. თითქმის მთელი კვირის მანძილზე ყველაზე სწრაფი ფერარელი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი იყო, თუმც ფინელმა ეგრეც ვერ გააკეთა ერთგვარი „დიდი სლემი“ — ტესტების დასკვნით დღეს კიმი ოდენ მესამე იყო თავისი ბრაზილიელი თანაგუნდელის ფელიპე მასას და „ტოიოტას“ გერმანელი დებიუტანტის ტიმო გლოკის შემდეგ.

მასამ საუკეთესო წრეზე 1.31,189 დრო აჩვენა, გლოკი მას მხოლოდ წამის ორი მეასედით ჩამორჩა. რაიკონენის საუკეთესო შედეგი წუთი და 31,329 წამი იყო, ხოლო „ტოიოტას“ მეორე პილოტი, იტალიელი იარნო ტრული 1.31,689 შედეგით დაკმაყოფილდა.

ფერარელთა ამბავი გასაგებია — „სკუდერიას“ ლამის ყველა პროგნოზში სეზონის უპირველეს ფავორიტად ასახელებენ.

აი, „ტოიოტას“ ხალხი კი ტესტების დასკვნითი დღის შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა. „მინდა, მადლობა ვუთხრა მთელ გუნდს — მათაც, ვინც ტრასაზე მუშაობდა და მათაც, ქარხანაში რომ უთენდებათ. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა, მაგრამ პროგრესი აშკარაა“ — განაცხადა გლოკმა, ვისაც თანაგუნდელი ტრულიც დაეთანხმა: „კარგი დღე იყო და მთლიანადაც, ბაჰრეინული ტესტებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა საჭიროა, აქ ჩატარებული სამუშაოს დაწვრილებით გაანალიზება და ბოლიდის კიდევ უფრო სრულყოფა“.

„ამ ერთ კვირაში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, მანქანის მუშაობის პროცესში მთელი რიგი ცვლილებები შევიტანეთ და შედეგი სახეზეა — ბოლოსკენ ძალიან სწრაფები ვიყავით. მთავარია, რომ ახალმა TF108-მ დაამტკიცა, რომ საიმედო ბოლიდია და მოახლოებული სეზონის წინ ეს ფაქტი ძალიან გვახარებს“ — ეს კი, „ტოიოტას“ მთავარი ინჟინრის, დიტერ გასის სიტყვებია.

**ბახა ლომაძე**



# ხარები ხერესში

**ბაჰრეინული** სატესტო სერია დასრულდა და იმავდროულად, ესპანეთში, ხერესის ავტოდრომზე ახალი სატესტო სერია გახურდა, რომლის პირველ დღეს ტრასაზე „რედ ბულისა“ და „უილიამსის“ პილოტები გავიდნენ.

„რენოს“ ძრავით აღჭურვილი „წითელი ხარები“ „ტოიოტას“ გულიან „უილიამსებზე“ სწრაფები იყვნენ. საუკეთესო დრო — წუთი და 20,641 წამი ვეტერანმა შოტლანდიელმა დევიდ კულტჰარდმა აჩვენა, ვისაც 0,146 წამით ჩამორჩა ავსტრალიელი თანაგუნდელი მარკ ვებერი. უილიამსელთაგან იაპონელი კაზუკი ნაკაძიმა იყო უფრო ჩქარი — 1.20,834, ხოლო ფინური წარმოშობის გერმანელი ნიკო როსბერგი წუთსა და 21,096 წამში ჩაეტია.

პრინციპში, გასაკვირი არც არის, „რედ ბულები“ „უილიამსებზე“ სწრაფები რომ იყვნენ. ხერესული ტესტები სერ ფრენკ უილიამსის გუნდისთვის ფაქტობრივად პირველია. წინა ჯერზე, ბარსელონაში, პირველივე დღეს ნაკაძიმას სერიოზული ავარია შეემთხვა და ინგლისელები სამშობლოში გაბრუნდნენ, რათა ახალი ბოლიდის წინა ანტიფრთის გამო წარმოშობილი პრობლემები შინაურ ატმოსფეროში მოეგვარებინათ.

**ბახა ლომაძე**



# ძველი ჰოლანდიური მუსიკა


სვენ კრამერი

**გერმანიაში,** ბერლინის ჭერქვეშა საციგურაოს, „სპორტფორუმის“ ოვალზე გასულ უქმეებზე მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა კლასიკურ მრავალჭიდში.

როგორც ყოველთვის ბოლო წლებში, სამსოფლიოსჩემპიონატო მუსიკა ამჯერადაც ჰოლანდიელმა მოციგურავეებმა შეუკვეთეს — ოქროს მედლები ქალებში ვან დეუტეკემმა, კაცებში კი ყველაფრის ჩემპიონმა სვენ კრამერმა მოიპოვეს.

ვან დეუტეკემმა ოთხი დისტანციიდან მხოლოდ ერთი, 3000 მეტრი მოიგო, მაგრამ ყველაზე სტაბილური იყო და მრავალჭიდის ჯამში ულაპარაკოდ აჯობა თავისივე თანამემამულე ვიუსტს და კანადელ გროუვზს.

კრამერის უპირატესობა უფრო აშკარა გახლდათ. სტაიერულ, 5000 და 10000 მეტრებზე ჰოლანდიელმა ყველას აჯობა, 500 მეტრზე მესამე ადგილი დაიკავა, 1500 მეტრზე — მეოთხე და ოთხი დისტანციის ჯამში მეორე ადგილზე გასული ახალგაზრდა ნორვეგიელი ბოკო თითქმის ქულანახევრით ჩამოიტოვა უკან.

**მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ მრავალჭიდში. ბერლინი. გერმანია**

**კაცები**

500 მ: 1. მორისონი (კანადა) 35,81 წმ; 2. დევისი (აშშ) 35,85; 3. კრამერი (ჰოლანდია) 36,22

5000 მ: 1. კრამერი 6.13,35; 2. ბოკო (ნორვეგია) 6.17,64; 3. ჰედრიკი (აშშ) 6.18,90

1500 მ: 1. დევისი 1.45,93; 2. მორისონი 1.45,98; 3. ლალენკოვი (რუსეთი) 1.46,39

10000 მ: 1. კრამერი 13.09,06; 2. ბოკო 13.10,87; 3. პიუველი (ჰოლანდია) 13.20,97

მრავალჭიდის ჯამი: 1. კრამერი 148,494 ქულა; 2. ბოკო 149,823; 3. დევისი 149,908

**ქალები**

500 მ: 1 ნესბიტი (ჰოლანდია) 39,03 წმ; 2. დიუსტი (ჰოლანდია) 39,28; 3. ვან ფეი (ჩინეთი) 39,57

3000 მ: 1. ვან დეუტეკემი (ჰოლანდია) 4.03,33; 2. სბლიკოვა (ჩეხეთი) 4.05,69; 3. გროუვზი (კანადა) 4.06,36

1500 მ: 1. ვიუსტი 1.57,59; 2. ვან დეუტეკემი 1.57,83; 3. ნესბიტი 1.58,57

5000 მ: 1. საბლიკოვა 6.59,26; 2. გროუვზი 7.06,22; 3. ვან დეუტეკემი 7.07,10

მრავალჭიდის ჯამი: 1. ვან დეუტეკემი 162,191 ქულა; 2. ვიუსტი 162,533; 3. გროუვზი 162,879

საჰარაში ბული აღარ დადგება



# ეს ის დაკარი აღარ იქნება

## აფრიკა სამხრეთ ამერიკაში წავიდა

**საბოლოოდ** გადაწყდა — ლეგენდარული რალი-რეიდი „დაკარი“ 2009 წლისთვის მისამართს შეიცვლის და სამხრეთ ამერიკაში, არგენტინისა და ჩილეს სავანებსა და მთებში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი „დაკარი“ რომელიც საიუბილეო, 30-ე უნდა ყოფილიყო, არ შედგა — გასული წლის მიწურულს მავრიტანიაში, სადაც რალი-რეიდის რვა ეტაპი იყო დაგეგმილი, „ალ ქაიდას“ ჩრდილოაფრიკული დაჯგუფების ტერორისტებმა ფრანგი ტურისტები დახოცეს და მავრიტანიის მთავრობამ „დაკარის“ ორგანიზატორებს იმის გარანტია ვერ მისცა, რომ ტერორისტული აქტები რალი-რეიდის მსვლელობისას არ განმეორდებოდა.

უკვე მაშინვე დაიწყო ლაპარაკი სამომავლოდ „დაკარისთვის“ მისამართის შეცვლაზე და აჰა, საბოლოოდ გადაწყდა — ლეგენდარული რბოლა, გაისად 2 იანვარს, ბუენოს აირესში დაიწყება, არგენტინას დასავლეთისკენ გადაკვეთს, ჩილეში იმოგზაურებს, შემდეგ უკან დაბრუნდება და 18 იანვარს, ისევ არგენტინის დედაქალაქში დასრულდება.

ფაქტია, ეს ის „დაკარი“ აღარ იქნება. თავი დავანებოთ იმას, რომ სამხრეთ ამერიკაში საჰარის უდაბნო არ არის და „დაკარის“ ხიბლი კი, სწორედ ქვიშის ოკეანის უგზოობა იყო. ძველ და ახალ რბოლებს საერთო მხოლოდ ჩატარების ვადები ექნება, თორემ სად საჰარა, დაკარი და ვარდისფერი ტბა და სად არგენტინული სავანები და ანდების უღელტეხილები.

ბუნებრივია, სამხრეთამერიკულ რბოლას სახელიც სხვა ექნება და შეიძლება ითქვას, რომ „დაკარის“ ლეგენდარული ისტორია, რომელიც 1979 წელს დაიწყო, თუ არ დასრულდა, შეწყდა მაინც. რალი-რეიდის ორგანიზატორებს ჯერაც სჯერათ, რომ ახლო მომავალში ყველაფერი მოწესრიგდება და „დაკარი“ ძველ, ნაცნობ, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის გზებს დაუბრუნდება.

მანამდე კი სამხრეთ ამერიკა იქნება. ესეც საინტერესო უნდა იყოს.

**ბახა ლომაძე**

ჭადრაკი

## მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი
## 15 თებერვალი – 7 მარტი

# ლინარესში მორელია ჩაერია

## ჭადრაკმა მექსიკა და ესპანეთი გააერთიანა

**ორი** წელია ლინარესის სუპერტურნირი ახალი ფორმატით იმართება. პირველი წრე მექსიკურ მორელიაში იწყება, მეორე კი ესპანურ ლინარესში გრძელდება. ამის გამო ტურნირს სახელიც შეუცვალეს და ახლა მორელია-ლინარესი ეწოდება.

წლევანდელ შეჯიბრში 8 დიდოსტატი ითამაშებს და სიძლიერით 21-ე კატეგორიისა იქნება. აი მათი სიაც: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უნგრელი პეტერ ლეკო, აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი, სომეხი ლევონ არონიანი, ესპანელი ალექსეი შიროვი და ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი.

შეგახსენებთ, რომ შარშან მექსიკაში რაჯაბოვი გაქურდეს, რის გამოც გაბრაზდა და ორგანიზატორებსაც წაეჩხუბა. ბევრს ეგონა, რომ აზერბაიჯანელი ტურნირზე წელს აღარ წავიდოდა, თუმც ასე არ მოხდა და პრობლემაც ამოიწურა.

ტურნირის ფავორიტი, რა თქმა უნდა, ანანდია. თუმცა ამას წინათ ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი მან ცუდად დაიწყო, შემდეგ კი ათამაშდა და მესამე ადგილი შეხვდა.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ტოპალოვი ორი-სამი წლის წინ ბრწყინავდა და ლინარესზე თვით გარი კასპაროვსაც მოუგო. მაშინ მას კასპაროვის მემკვიდრედაც მიიჩნევდნენ, თუმც რაც მსოფლიოს ჩემპიონობა დათმო, საქმეები უკან წაუვიდა და ვეიკ ან ზეეში სამარცხვინო მეცხრე ადგილზე გავიდა.

ფორმაში ვერაა ვასილ ივანჩუკიც. შარშან მან საკმაო პარტიები მოიგო და ფიდეს რეიტინგშიც მეორე ადგილზე ალზევდა, მაგრამ დეკემბერში მსოფლიოს თასი ჩააგდო და 7 ადგილით ჩაცურდა.

ყველას აინტერესებს 17 წლის კარლსენის გამოსვლა. ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა ორი კვირის წინ მოიგო ვეიკ ან ზეე და ამ ტურნირის მოგებასაც ეშურება.

**ლაშა გეგეჭკორი**

კრივი

# მარგარიტოს მოტანილი კვინტანამ წაიღო



კარლოს კვინტანამ (მარცხნივ) პოლ უილიამს ბევრი ასეთი დარტყმა გაუტარა

**პოლ უილიამსმა** ტიტულის დაცვა ვერ მოახერხა — შარშან ივლისში ამერიკელმა ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ს ჩემპიონის ქამარი კი აართვა ანტონიო მარგარიტოს, მაგრამ გასულ უქმეებზე ისევ უტიტულოდ დარჩა. უილიამსი, რომელიც ამ წონაში ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ ითვლება და რომელსაც აქამდე პროფესიულ რინგზე ერთხელაც არ წაეგო, პუერტორიკოელმა კარლოს კვინტანამ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა.

ბრძოლა გვარიანად საინტერესო გამოდგა და კარგა ხანი ბრძოლა თანაბარიც იყო. უილიამსი, რომელიც მეტოქეზე ლამის 10 სანტიმეტრით მაღალია, ამ უპირატესობის გამოყენებას ცდილობდა, კვინტანას შორიდან უშენდა მუშტებს და ამის წყალობით პუერტორიკოელის აქტიურობას თითქმის ანეიტრალებდა. უფრო გრძელი ხელების ხარჯზე ამერიკელი ჯებით ხშირად სწვდებოდა მეტოქეს და ამიტომ მერვე რაუნდამდე ორივე მოკრივემ თითქმის ერთნაირი რაოდენობის დარტყმები მიითვალა.

აი, მერვე რაუნდში კი კვინტანამ რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაატარა და მეტოქე სერიოზულად დააზიანა — განსაკუთრებით თვალების არეალში, რის გამოც უილიამსი მაგრად დაიბნა. პუერტორიკოელმა ამით კარგად ისარგებლა და მომდევნო სამ რაუნდში გვარიანადაც უბრაგუნა მეტოქეს, რითაც გამარჯვება გაინაღდა კიდეც. ამერიკელმა ბოლოსკენ ვითომ სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩა — ერთმა მსაჯმა 115:113, ორმა კი 116:112 ანგარიშით გამარჯვება და საჩემპიონო ქამარი კვინტანას მიაკუთვნა.

პუერტორიკოელმა პირადი მონაგარი უკვე 25 მოგებამდე გაზარდა (აქედან 19 ნოკაუტით) — მის პასივში კი მხოლოდ ერთი მარცხია.

**კახა ლომაშვილი**

ჰოკეი

# სპეცას სპეცკვირა



**გასული კვირის** პირველ ვარსკვლავად „ოტავას" ახალგაზრდა ცენტრი ჯეისონ სპეცა დასახელდა. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი კარიერის საუკეთესო სეზონს კი ატარებს, მაგრამ ბოლო სამ-ოთხ კვირაში გამოჩნდა, რომ კანადელის კარგი თამაში დიდწილად მის მუდმივ პარტნიორებზე — დენი ჰიტლისა და დანიელ ალფრედსონზეა დამოკიდებული. ამაში იანვარ-თებერვლის გასაყარზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ჰიტლი და ალფრედსონი ტრავმების გამო ვერ თამაშობდნენ და სპეცაც თითქმის „გაუჩინარდა".

ჰიტლი-ალფრედსონის დაბრუნება საკმარისი აღმოჩნდა სპეცას გონზე მოსასვლელად, რომელმაც წინა კვირას მართლად დიდებულად ითამაშა და 11 ქულა (4+7) მოიხვეჭა. კანადელმა განსაკუთრებით „მონრეალთან" შეხვედრაში გამოიდო თავი, როცა კარიერაში ჯერჯერობით სარეკორდო 6 ქულა (3+3) მიითვალა. ისე, იმ დღეს სპეცას გარდა მისი სამეულის დანარჩენმა ორმა წევრმაც დიდებულად ითამაშა და სამივემ ერთად 15 ქულა დააგროვა — ალფრედსონმა 5 (2+3), ჰიტლიმ კი 4 (1+3) ქულა ჩაიწერა აქტივში.

სპეცამ მთლიანობაში უკვე 71 ქულა მოაგროვა (23+48) და გუნდის მეორე ბომბარდირია (იმავე ალფრედსონს ჩამორჩება), ლიგის საუკეთესო მექულეთა სიაში კი მეხუთე გახლავთ.

გასული შვიდდღეულის მეორე ვარსკვლავობა „პიტსბურგის" რუს ლიდერ ევგენი მალკინს ერგო და სრულიად დამსახურებულადაც — ლაზარეთში მოხვედრილი სიდნი კროსბის არყოფნაში რუსი ყველაფერს აკეთებს, რომ „პინგვინებს" უკაპიტნობა არ დაეტყოთ. სლავს ეს იმდენად კარგად გამოსდის, რომ „პიტსბურგს" ოკეანისგაღმეთში უკვე არა კროსბის, არამედ მალკინის გუნდს ეძახიან.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, წინა კვირას მალკინმა 4 შეხვედრაში 12 ქულა (3+9) მოაგროვა და ლიგის ბომბარდირთა დავაში 73 ქულით (31+42) მესამე ადგილზე გამყარდა.

მესამე ვარსკვლავობა ჩემპიონ „ანაჰაიმის" კარის დარაჯ ჟან-სებასტიან ჟიგერს ერგო. ექვსმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ „იხვები" წინა კვირას გონზე მოვიდნენ და ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგეს. აქედან ჟიგერმა სამ მატჩში ითამაშა. მისი დახმარებით „ანაჰაიმმა" ჯერ ნიუ იორკული გუნდები, „აილენდერსი" და „რეინჯერსი" დაამარცხა, კვირის ბოლო დღეს კი უპრინციპულესი შეხვედრა მოუგო ლიგის უპირობო ლიდერ „დეტროიტს".

# ტრეიდი, რომელიც ყველას აწყობდა

**„ოტავა"** და „კაროლინა" დედლაინს არ დაელოდნენ და საკმაოდ ხმაურიანი გაცვლა განახორციელეს — თავდამსხმელი კორი სტილმანი და უკანახაზელი მაიკ კომოდორი კანადის დედაქალაქში ითამაშებენ, უკუ მიმართულებით კი ასევე თითო წინახაზელი და მცველი — პატრიკ ივზი და ჯო კორვო გაემართნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გაცვლით ორივე გუნდმა ისარგებლა, რადგანაც ერთმაც და მეორემაც ის მიიღეს, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. კერძოდ, „ოტავამ" სტილმანის სახით პლეი ოფის წინ შედარებით იაფი (ხელფასი მხოლოდ 1 750 000-ია), მაგრამ საშუალოზე მაღალი დონის თავდამსხმელი შეიმატა. მართალია, კორვო გუნდისთვის საკმაოდ დიდი ძალა იყო, მაგრამ „ოტავას" სხვა შემტევი უკანახაზელებიც ჰყავს უეიდ რედენისა და ანჟეი მეჟაროშის სახით. საქმეს არც კომოდორი გააფუჭებს, რომელიც თავისი ძალისმიერი თამაშით „სენატორთა" დაცვას კიდევ უფრო მეტად შეადუღაბებს.

„კაროლინას" კი მეტობის ბრიგადაში ხეირიანად მოთამაშე, ძლიერი დარტყმისა და კარგი პირველი პასის მქონე მცველი ესაჭიროებოდა და კორვოც სწორედ ასეთი კაცია. მართალია, ივზი სტილმანის მაგვარ გამოცდილ და საიმედო წინახაზელს სრულფასოვნად ვერ შეცვლის, მაგრამ „ქარიშხლების" გენერალური მენეჯერი ჯიმ რუტერფორდი კორვოსმაგვარ მცველს კარგა ხანია, დაეძებს და, ეტყობა, მის ხელში ჩასაგდებად ასეთ მსხვერპლზე წასვლაც უღირდა.

**კახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

11 თებერვალი

**დალასი 2:1 ფინიქსი**

*0:1 0:0 2:0*

0:1 კაპანენი (7), 1:1 ოტი (52), 2:1 მოდანო (57)

ფეხბურთი

## ინგლისი

ჩემპიონატი. XXXII ტური

სკანთორპი 0:1 ბრისტოლი
ბლექპული 0:0 ვულვზი
კოლჩესტერი 2:1 პრესტონი
ქოვენთრი 0:0 კარდიფი
ნორვიჩი 1:1 ჰალი
პლიმუთი 3:0 ბარნსლი
უენსდი 0:0 ჩარლტონი
სტოკი 3:2 საუთჰემპტონი
უოტფორდი 1:0 ლესტერი
ვესტ ბრომვიჩი 0:0 შეფილდი
კრ. პალასი 0:1 იფსვიჩი
ქუინზ პარკი 2:4 ბარნლი

I ლიგა. XXXII ტური

ბორნმუთი 0:2 დონკასტერი
ბრაიტონი 0:0 ტრანმერი
როვერსი 1:0 ოლდემი
კარლაილი 2:1 ჰადერსფილდი
ჰარტლპული 3:2 პორტ ვეილი
ლიდსი 1:1 ნოტინგემი
ლეიტონი 0:1 ქრიუ
მილუოლი 2:1 საუთენდი
სუონსი 1:0 უოლსოლი
სუინდონი 3:0 ჩელტენემი
იოვილი 1:0 ნორთჰემპტონი
ჯილინგემი — ლუთონი გადაიდო

II ლიგა. XXXII ტური

აკრინგტონი 0:3 ლინკოლნი
ბარნეტი 1:2 ბრენტფორდი
ბერი 2:2 უიკომბი
დაგენემი 6:2 ჩესტერი
მაკლსფილდი 1:2 გრიმსბი
მენსფილდი 1:2 მორეკემბი
ნოტსი 0:1 დარლინგტონი
როჩდეილი 2:4 ჰერეფორდი
როტერჰემი 1:4 სტოკპორტი
შრიუსბერი 3:3 დონსი

კონფერენსლიგა. XXXII ტური

ალდერშოტი 0:0 კემბრიჯი
ალტრინჩემი 0:0 ფერსლი
ბარტონი 3:0 დროილსდენი
ექსეტერი 2:2 უოქინგი
ჰალიფაქსი 2:2 იორკი
ვეიმუთი 0:0 ტორკი
ჰისტონი — სტაფორდი 0:0-ზე შეწყდა
გრეისი — რაშდენი გადაიდო

## იტალია

სერია B. XXV ტური

ალბინოლეფე 3:1 რავენა
ასკოლი 2:1 ლეჩე
ბარი 2:1 პიაჩენცა
ბოლონია 3:1 აველინო
ბრეშა 1:0 პიზა
ჩეზენა 0:0 გროსეტო
ფროზინონე 4:0 მესინა
მანტოვა 2:3 ვიჩენცა
მოდენა 1:2 კიევო
ტრევიზო 0:2 რიმინი
ტრიესტინა 0:0 სპეცია

## ამხანაგური მატჩები

ლოკომოტივი (ს) 4:3 რაპიდი (ბ)
ზადარი 0:0 ბოტევი
გიოტებორგი 1:1 დინამო (მ)
ლოკომოტივი (პლ) 1:0 ვიძევი
ვიკინგი 1:1 ჰალმსტადი
სტაბეკი 4:2 კრილია

## შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

პარტიკი 1:1დ.დ.(6:5პ) ლივინგსტონი
როსი 0:1 სენტ ჯონსტონი

## ფინეთი

ლიგის თასი

III ტური. I ჯგუფი

ტურკუ 2:1 ტამპერე


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მაგრიაშვილი, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლუიზა ბუგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge